

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

სოფო ივანაძე

იოსებ გრიშაშვილი - თბილისის ტრუბადური

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლელა კუკულაძე - ასოც. პროფ.

აკადემიური დოქტორი

ბიჭაური

2019

ანოტაცია

საქართველოს პოეზიის მეფისა და მეტრის, გალაკტიონ ტაბიძის, ლირიკულ მემკვიდრეობას საპატიო ადგილი უჭირავს ქართულ ლიტერატურაში, მასთან ზიარება დიდი პატივია, სრულყოფილი აღქმა - ურთულესი პროცესი, ანალიზი კი - უდიდესი პასუხისმგებლობა. ამ დიდი შემოქმედის ჭეშმარიტად ქართული, ეროვნული პოეზია გამოირჩევა ერის ჭირ-ვარამის შეგნებითა, ღრმა იდეურობით, ეროვნული ლექსის ტრადიციებისადმი ერთგულებით, ხალხური ზეპირსიტყვიერების პოეტური საგანძურის ორიგინალური გამოყენებით. წინამდებარე ნაშრომში ყურადღება სწორედ გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში თავჩენილ ეროვნული თვითშეგნების გამომხატველ ლირიკულ მემკვიდრეობაზეა გამახვილებული და ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ პატრიოტიზმი შემოქმედისთვის მხოლოდ სალექსო თემა როდია. ეს ის გრძნობადი ნიადაგია, რომელის გათვალისწინებითაც გაიაზრება მთელი მისი პოეზია. სწორედ ამ მოსაზრების შეძლებისდაგვარ დასაბუთებას წარმოადგენს ჩვენი სამაგისტრო ნაშრომიც.

A n n o t a t i o n

The lyric inheritance of King and Meters of Georgian Poetry Galaktion Tabidze holds a honorable place in Georgian Literature. To share with his poetry is a pleasure, but the hardest process is to perceive and understand it. To analyze it is also a big responsibility.

This biggest creator's truly Georgian national poetry sorts out with the deep understanding of anguish and pain of Georgian nation, creativity and adherence of the national poem and the original use of folkloric treasure. The present work outlines the lyric inheritance of the national self-awareness. It also emphasizes that for the creator the patriotism is not just a poetry topic. This is a very sensitive ground which helps us to understand his poetry. Our master's work tries to demonstrate it.

With his incredibly romantic poems Galaktion created his own, unique world of poetry, delivering the beauty of Georgian Language and elasticity of words. His lyrical inheritance takes an honorable place, to receive his lyrics is a great honor, improved perception is the most difficult process and to analyses is a great responsibility.

Galaktion Tabidze is a great creator, whose poems are full of affection of Georgian national, their misfortune and devotion of traditions. He empathizes with Georgian fold and shows his patriotism. In this work it is shown that patriotism is not used only in his poems, bit patriotism is in poet' heart. Sense of patriotism is the valuable thing for the creator and in our master's work. It is presenter as far as possible.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი -----	5
I საკითხის კვლევის ისტორიისათვის -----	7
II იოსებ გრიშაშვილის პატრიოტული ლირიკა („საქართველო ბეჭედია ბაჯალლო და თბილისი - შიგ ჩასხმული ბადაღში“) -----	24
III თბილისი - პოეტური შთაგონების წყარო ი. გრიშაშვილის ლირიკაში -----	32
IV თბილისის ისტორიული წარსულის პოეტური ხატება ი. გრიშაშვილის ლირიკაში -----	43
V იოსებ გრიშაშვილის პოემის ლექსალური ორნამენტიკა -----	49
VI „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ -----	58

შესავალი

მე-20 საუკუნის ქართული პოეზიის თვალსაჩინო წარმომადგენელი იოსებ გრიშაშვილი მკვეთრად გამოხატული პოეტური ხელწერითა და ინდივიდუალობით ბრწყინავს ქართული პოეზიის კაბადონზე. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა ეროვნული მწერლობის მონაპოვარია და განსაკუთრებულ ლაბათს მატებს ჩვენი მწერლობის მრავალფეროვან სამყაროს.

საქართველოს სახალხო პოეტმა, აკადემიკოსმა, იოსებ გრიშაშვილმა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მოღვაწეობის 60 წლის მანძილზე მან მრავალი ლექსი, მოთხრობა, პიესა, თარგმანი, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი, მონოგრაფია, თეატრალური გამოკვლევა, რეცენზია და კორესპოდენცია გამოაქვეყნა, თუმცა მისი შესაძლებლობანი მთელი ძალით, უპირველეს ყოვლისა, ლირიკაში ვლინდება. პოეტის შთავგონების მთავარი დასაყრდენი ფაქტი ემოციებით აღბეჭდილი განწყობილევბაა.

გრიშაშვილის ლექსების ბუნებრივ მდინარეებში გვხვბლავს ჭეშმარიტი პოეტური ნიჭის სილამაზე, სილაღე, უშუალობა, რითიც იპყრობს მხატვრული შემოქმედების მწვერვალებს. მას, როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს, გათავისებული აქვს, რომ პოეტის

ძირითადი ამოცანაა მთელი მხატვრული ძალით უმღეროს საქართველოსა და მის დედაქალაქს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთხმადაა აღიარებული პოეტის სისხლხორცეული კავშირი ქალაქულ ფოლკლორთან. ძველი თბილისის ლიტერატურული და ყოფითი ტრადიციები, რომელთა მეცნიერულ კლევასაც პოეტმა დიდი ენერგია შეაღია, გახდა მისი ლირიკის ძირითადი მასაზრდოებელი წყარო. მის ლექსებში ქალაქური პოეტური ფოლკლორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები ვლინდება. შეითანბარო, ნარიყალა, შუშაბანდები, ვინრო ქუჩები, ყარაჩოღელი, კინტო - გრიშაშვილის სტრიქონების ხშირი სტუმრები არიან.

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაზე დანერილ ნაშრომებში ხაზგასმულადაა წინა პლანზე წამოწეული, პოეტის განსაკუთრებული სიყვარული თბილისისადმი. ძნელია დავასახელოთ სხვა პოეტი, რომელიც მისებრ სისხლხორციელად იყოს შეზრდილი თბილისის კოლორიტთან, მის სიძველესთან და თანამედროვეობასთან. თბილისი იოსებ გრიშაშვილის საყვარელი თემაა. თბილისში დაბადებული და გაზრდილი პოეტი შესისლხორცეული იყო ამ ქალაქთან. მასზე შეყვარებულმა პოეტმა ბევრი კარგი ლექსი უძღვნა საქართველოს დედაქალაქს, რომელასც თავისი „პოეტური შემოქმედების მასწავლებლად თვლიდა“. სამწუხაროდ, თბილისზე შექმნილი და ციკლებად ქცეული ლექსები სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადოდ არ არის შესწავლილი, ამიტომ ჩვენი თემის მიზნად სწორედ ამ სიცარიელის ამოვსება დავისახეთ. თემა ნაკვლეგია **ისტორიულ-შედარებითი მეთოდით**.

თემის აქტუალობა: იოსებ გრიშაშვილის პოეზიისა და განსაკუთრებით თბილისზე შექმნილი ლექსების აქტუალობას განსაზღვრავს, ქალაქურ ფოკლორთან წილნაყარი, განსხვავებული პოეტური ხელწერა, ჩვენი დედაქალაქის შესწავლისა და მისი ძველი კოლორიტის წარმოჩენის საქმეში შეტანილი წვლილი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობითა და პროექტის შემოქმედებითი ხელნერის თავისებურებათა წარმოჩენით.

თავი I

საკითხის კვლევის ისტორიისათვის

საუკუნეზე მეტია ჩვენს ლიტერატურაში გაისმის იოსებ გრიშაშვილის სახელი, საუკუნეზე მეტია ქართველი მკითხველი ენაფება მის შემოქმედებას, კითხულობს მის ლექსებს, მისი სახელი ზოგჯერ ლიტერატურული კამათის საგანია, უფრო ხშირად საგანი მოწონებისა და პატივისცემისა, სიხარულისა და აღტაცებისა. დღეს უკვე საბოლოოდ აღიარებულია, რომ XX საუკუნის ქართულ პოეზიაში იოსებ გრიშაშვილი შემოვიდა, როგორც ლირიკული ლექსის ნოვატორი და წყობილსიტყვაობის ოსტატი. მხატვრულ ორიგინალურობასთან ერთად მან მოიტანა პოეტური შემეცნების მრავალფეროვნება, რამაც თავისებური მიმართულება მისცა მთელ მის შემოქმედებას.

იოსებ გრიშაშვილი დაიბადა 1889 წლის 11 (ახალი სტილით 23) აპრილს თბილისში, ხარფუხის უბანში, ხელოსან გრიგოლ (გრიშა) დავითის ძე მამულაშვილის ოჯახში. მისი წინაპრები გურიის მკვიდრნი ყოფილან. პროექტის პაპა დავითი (დათია)

გურული გლეხი იყო. იგი ბატონს გამოქცევია და ორთაჭალაში მებაღედ დაუწყია მუშაობა. მომავალ პოეტს მამა ჯერ კალატობობდა, შემდეგ კი მიკიტნობას მიჰყო ხელი. 1897 წელს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში შევიდა, სადაც მას ცნობილი მწერლები - კოტე მაცაშვილი და არსენ მამულაიშვილი (იგივე ლალიონი) ასწავლიდნენ. გიმნაზიის დირექტორი იყო ექვთიმე თაყაიშვილი. მესამე კლასის მონაფე იყო იოსები („ფირუზას“ ეძახდნენ ლურჯი თვალების გამო), მამა რომ გარდაეცვალა. მძიმე ოჯახური პირობების გამო სწავლისთვის თავის დანებება მოუხდა. დედა, ეკატერინე, გაქართველებული სომეხი იყო, რომელიც მალე სხვაზე გათხოვდა და შვილი ბედის ანაბარა დატოვა. ობლად დარჩენილმა ბიჭმა დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო, ჯერ დუქნის ბიჭად ირჯებოდა, მერე სტამბაში შევირდად მოეწყო. ერთხანს საფლავის ეპიტაფიებს თხზავდა და იმით ირჩენდა თავს. საბედნიეროდ, მამის გარდაცვალებამდე იოსებ გრიშაშვილმა მოასწრო გიმნაზიის რამდენიმე კლასის დამთავრება. მამის ხსოვნა ნათელ მოგონებად დარჩენია მგოსანს, რაც ჩანს როგორც მამის სახელიდან წარმოებულ ფსევდონიმში (გრიშაშვილი), ისე მამისადმი მიძღვნილ ლექსში:

რა იყო ჩემი სიჭაბუკე
ძველ სათვალავში?
დედა სხვას გაჰყვა, მამა უკვე
იწვა საფლავში...
და დედამინის ზედაპირზე
ვგმობდი ბატონთა,
ვინ ამასხამდა წინდის ჩხირზე,
ჩხირი არ მქონდა!
და ვიზრდებოდი დაჩაგრული
ყასბის მორებთან,

და მუხამბაზებს ჩემი გული
იმეორებდა.

(გრიშაშვილი, 2012:92)

იოსებ გრიშაშვილმა ბავშვობა ხარფუხის უძველეს უბანში გაატარა. ეს წლები საკმაოდ მძიმე და უსიხარულო ყოფილა. ამის თაობაზე პოეტი საინტერესო ცნობებს გვაწვდის თავის ლექსებსა და წერილებში. გავიხსენოთ, მაგალითად, ფრაგმენტი ლექსიდან „40 წელი დღეს შემისრულდა“:

მე არ მქონია ჩემი ბავშვობა.
მე დედის ალერსს არ ვარ ჩვეული,
ადრე გავაღე გულის ფანჯარა.
ქალაქმა მზარდა, სულით, სხეულით
ვეკუთვნი თბილისს, ჩემთვის უცხოა
სოფლის უბინო ჰასაკოვნება.
დავქროდი ჩემი უბნის ღორღებზე,
ცა ქუდად მქონდა, მიწა- ქალამნად.
უნიგნოდ ბევრი რამ შევისწავლე,
ცხოვრების წიგნში ვიძიებოდი.

(გრიშაშვილი, 2012:21)

რთული ბავშვობის დაბრკოლებებით სავსე წლები სევდად დაეტყო გრიშაშვილის მთელ პოეზიას, აკი თავად ამბობს პოეტი:

„ - ბალღობიდანვე არ მქონია
საასპარეზოდ დიდი ფართობი
და ჩემს ლექსს - ლამაზ, ვიწროფონიანს,
დასჩემდა ოხვრა ძნელგასართობი.“

(გრიშაშვილი, 2012:25)

იოსებ გრიშაშვილის წუთისოფლის უკუღმართობამ სპეციალრი განათლება არ აღირსა, რასაც თავის დიდ ნაკლად მიიჩნევდა და წლების მანძილზე განიცდიდა. „სანაცვლოდ ბევრს მუშაობდა თავის თავზე, ეუფლებოდა ისტორიას, უცხო ენას, კითხულობდა მსოფლიო კლასიკურ ლიტერატურას. 1932 წელს, დავით მესხისადმი მიწერილ წერილში ვკითხულობთ: „...მე სულ ვმეცადინეობ რაც ბალღობაში დამაკლდა ეხლა ვისრულებ, ნეტა აკაკის ლექსი არ გამართლდეს ჩემზე - „მოხუცი აქ რომ ჩანგურს ისწავლის ის საიქიოს გამოადგება“. მინდა ქართული ლიტერატურათმცოდნეობაში სავსებით ვიყო განსწავლული.“ პოეტის აზრით „მარტო ნიჭი შრომის გარეშე ანთებულ ბურბუშელასავით ჩაქრება. „შრომა, შრომა და შრომა. ეს უნდა იყოს ყველასათვის ცხოვრების მიზანი“. თვითონაც ხომ ფუტკარივით მშრომელი ადამიანი იყო, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე სანამ ჯამრთელობა ხელს უწყობდა, დაუღალავდ მუშაობდა: წერდა, კითხულობდა კრებდა ფოლკლორულ და ლექსიკურ მასალებს, აგროვებდა უნივერსალურ წიგნებს თავისი ბიბლიოთეკისთვის და წესრიგში მოჰყავდა მთელი თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (არველაძე, კურსაშვილი, 1976:8-9).

პოეტი წიგნის სახის ხედავდა ცოდნის ამომწურავ წყაროს, ამიტომ ახალგაზრდობას ურჩევდა: „გიყვარდეს წიგნი! გინდა ცოდნა შეიძინო, წიგნი გადაშალე! გინდა იმოგზაურო წიგნს დაეწაფე! წიგნი საუკეთესო მეგობარია, მეგზური დამხმარე და თანამგზავრი“.

„ახ მეგობრებო ! რაღა გითხრათ მე თვალსაჩინოდ

მიყვარდა კითხვა და ამ კითხვამ გადამარჩინა“.

(გრიშაშვილი, „პასუხად ახალგაზრდა მწერლებს“, 2012:92)

იოსებ გრიშაშვილს ბავშვობიდანვე როგორც „წიგნის კაცს" ასე იცნობდნენ თავის უბანში და ახალგაზრდობიდანვე დიდ პატივ სცემდნენ. მეღუქნეები, - იგონებს ის, - პატივს მცემდნენ როგორც „წიგნის კაცს". ლუკმის ხარჯზე იძენდა ბავშვი წიგნებს და საფუძველს

უყრიდა იმ უმდიდრეს ბიბლიოთეკას, რომელიც დღეს ცნობილია მთელ საქართველოში. „ძველი თბილისის ბიბლიოთეკის“ ფონდი, რომელიც პატარა სოსომ მამის სიცოცხლეშივე ამოწურა, შეივსო ახალი ლიტერატურით. მომავალ მგოსანს თანდათან უფრო უღრმავებდა ცოდნის ჰორიზონტის გაზრდის სურვილი. ამ სურვილის შესრულების ერთერთ ძირითად საშუალებას მისთვის წარმოადგენს ქართული თეატრი, რომლის „სუფლიორის ნიჟარიდან“ მოისმინა მსოფლიო ხელოვნების მრავალი შესანიშნავი შედეგები.

1904 წლიდან იოსებ გრიშაშვილი ხარფუხის სცენის მოყვარეთა დასში მუშაობს, სადაც იგი დამდგმელი-რეჟისორიცაა, მსახიობიცა და დრამატურგიც.

1905-1906 წლებიდან იმდენად გაიტაცა თეატრალურმა ხელოვნებამ, რომ სცენისმოყვარეთა ჯგუფი ჩამოაყალიბა და წარმოდგენებს მართავდა ხარფუხსა და თბილისის მახლობელ უბნებში. განუსაზღვრელი იყო ამ დარგში გრიშაშვილის ფუნქციები. ის ყოფილა პიესების ავტორიც, რეჟისორიცა და მსახიობიც ასევე დაინერა და დაიდგა მისი პირველი სანახაობითი სცენები: „ტიმოთეს ლელვი“, „ბოიკოტი“, „ლოთები ორთაჭალაში“ და სხვები (ნიკოლეიშვილი, 1994:333).

ორიგინალური და გამდმოქართულებული ამ გასართობი პიესების, შექმნის საფუძველი ძველი ქალაქური ფოლკლორი იყო, იმ ადამინთა ყოფა ცხოვრება, რომელთა შორისაც ტრიალებდა ის ბავშვობის და სიჭაბუკის უამს.

იოსებ გრიშაშვილი ლიტერატურაში შემოვიდა ხალხის დაბალი ფენებიდან. მან გაირა ქართული სცენის ყველა კულუარი და სწრაფად ავიდა მკითხველის სიყვარულით გარემოსილი მგოსნის პიედესტალზე. ბავშვობიდანვე განიცადა რა სიმძიმე ცხოვრებისა, თავისი ცხოვრების მიმოხილვაშიც- „პასუხად ახალგაზრდა მწერლებს“, მიუთითა რომ მისი ყრმობა არ იყო სახარბიელო, ბავშვობაში ტოლების გვერდით იზრდებოდა დაჩაგრულად „ყსაბის მორებთან“, მოჩხუბარი მოქეიფე და ლოთი ადამიანების გვერდით, ორთაჭალის ღვინით მორწყულ მწვანე მდელოზე, სადაც ყარაჩოღელი

ტოლუმბაშის სადღეგრძელოს მოსმენასთან ერთად გულში იმეორებდა მუხამბაზებს. ასეთ ატმოსფეროში ყალიბდებოდა გრიშაშვილის პოეტური შემეცნება, და ადვილად გასაგებია, რომ ლიტერატურული მოღვაწეობის პირველი პერიოდში მას ბევრი რამ გადმოჰყვა აშუღური პოეზიიდან. თუ მის ლექსებმა თავიდანვე ფართოდ გაიკაფეს გზა მკითხველის გულისაკენ, აქ პოეტის ხალას ნიჭთან ერთად თავისებურ როლს თამაშობდა მაღალი მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნება: გაჭაღარავებულებიყო სამშობლოს სამსახურში და ხალხის სველი თვალი შეემშრალეზინა (ჯიბლაძე, 1961:5).

ამ შთაგონებით დაიწყო გრიშაშვილის პოეტური ბიოგრაფია, რომელიც არ შეიძლება დავაშოროთ მისი ცხოვრების სამოც წლიან გზას. ეს გზა შედარებით უხმაურო და მშვიდია, მაგრამ არის მაინც მომენტები, რომლებიც თავისებურ გავლენას ახდენდნენ გრიშაშვილის პოეტური ცნობიერების ჩამოყალიბებაზე.

ლიტერატურული მუშაობა გრიშაშვილმა დაიწყო 1904 წლიდან. წერდა მცირე ფორმის პიესებს, ისეთებს, მაგალითად, როგორცაა „ტიმოთეს ლელვი“, „ბოიკოტი“ და სხვა. ხარფუხელების შეკვეთით წერდა ეპიტაფიებს, სატრფიალო რუბაიებსა და გასართობ ეპიგრამებს. ყველაფერი ეს ვრცელდებოდა ხელნაწერებად ხარფუხის უბანში და მკითხველებიც ხარფუხის უბნელები იყვნენ. ეს იყო მოსამზადებელი ხანა სერიოზულ მწერლობაზე გადასასვლელად, - იგონებს პოეტი „ავტობიოგრაფიაში“.

სწორედ ამ დროს, თვითგანვითარებას დაწაფებული ახალგაზრდა, რომელიც ლიტერატურული მოღვაწეობისათვის ემზადებოდა, ცნობილი ქართველი მწერლების - ნინოშვილის, ევდოშვილის და სხვების წაბაძვით, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, მათგან განსხვავებით ფსევდონიმად ირჩევს მამის სახელისგან წარმოებულ გვარს „გრიშაშვილს“, შემდეგ უკვე გახშიანებულ, XX საუკუნის ქართულ მწერლობაში.

1907 წელს ვალერიან გუნიას ჟურნალ „ნიშადურში“ (№9) პირველ გვერდზე იბეჭდება გრიშაშვილის ლექსი ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების გამო. ამ ლექსის გამოქვეყნებით, როგორც თვითონ პოეტი აღნიშნავს, იწყება ფართო ლიტერატურულ

ასპარეზზე მისი გამოსვლა. ვალერიან გუნიამ მართლაც დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ახალგაზრდა პოეტისადმი, ყოველმხრივ შეუწყო მას ხელი: 1907 წელს ვ. გუნიას გრიშაშვილი შეჰყავს ქართული მსახიობთა ამხანაგობაში, სადაც პოეტი სუფლიორის თანამდებობას იკავებს. ამ სარბიელზე გრიშაშვილმა ხუთი წელი იმუშავა. 1913 წლამდე გრიშაშვილი მუშაობდა როგორც ქართული თეატრის, ქართული ხელოვნების უანგარო და თავდადებული მოღვაწე (ჭიბლაძე, 1961:8).

ქართული თეატრი პოეტისათვის მართლაც გადაიქცა ერთგვარ უნივერსიტეტად, სადაც იგი ეცნობოდა ქართულ ორიგინალურ და თარგმნილ ლიტერატურას, როგორც პოეტი კი თანდათან შედიოდა იმდროინდელი მოწინავე ადამიანების წრეში. ამავე პერიოდიდან თანამშრომლობდა გაზეთ „ნიშადურისა“ და „ივერიის“ რედაქციებში, წერდა პატარ-პატარა ვოდევილებსაც.

1904 წლიდან გრიშაშვილი ქმნის სახუმარო სცენებს, ეპიგრამებს, ხოლო 1905 წლიდან ლექსებს:

„ბედი ტიალი ოხერი სადღა არ დამატარებდა

ბოლოს მე თვითონ არ ვიცი გავჩნდი ლექსების კარებთან“

(გრიშაშვილი, „მხოლოდ სიყვარული“. 2012:)

ამ პერიოდში შექმნილი ზოგიერთი ნაწარმოები შედის მის ადრეულ კრებულში. თავის გასატანად, პოეტი დაკვეთით იწყებს სატრფიალო სიმღერებისა თუ ეპიტაფიებს წერას. იგი იგონებს: „დამწყებ მწერალი ვიყავი, ვწერდი ლექსებს შაირებს საფლავის ქვაზე ამოსაჭრელ ეპითეტებს ჩვენს უბანში და განა მართო ჩენს უბანში, ვისაც ვინმე უკვდებოდა ჩვენთან მორბოდნენ სამგლოვიარო ლექსების დასაწერად, ღმერთმანი არ შემრცხვება თუ ვიტყვი, რომ პეტრე-ჰავლეს და კრწანისსი სასაფლაოებზე ლექსები მაქვს გაბნეული, ერთი მოზრდილი ტომი გამოვა. ბოლოს ასაკში, რომ შევედი მკვდრები მივატოვე და ცოცხლებზე დავიწყე წერა“ (გრიშაშვილი, 1965:153).

1906 წელს ქვეყნდება გრიშაშვილის პირველი ლექსების კრებული „ვარდის კონა“ მამულაიშვილის ხელმოწერით. ლექსებისათვის ხმარობდა ფსევდონიმებს: ი.რიშაშვილი; გ.ი; განუვლელი გრი; ი; ი.გ; ი. გრ; მარუთა შუამდინარეთელი; ეს მე ვარ; ს; სანიტარი გლეხი; სოსო; სოსელო; ფირუზა; ფირუზა; ხვლიკი; ტიმოთეს ლელვი; ბაირონის ნაგლეჯი; ი.გრი-ლი და სხვა.

ფსევდონიმი „გრიშაშვილი“ პირველად ჩნდება 1907 წელს გამოცემულ ლექსთა კრებულზე „ფანტაზია“. ამის შემდეგ გრიშაშვილი (თითო-ორიჯერ გამონაკლისის გარდა) აღარ წერს თავის გვარს. როდესაც გრიშაშვილი სახუმარო ლექსების კრებულს აქვეყნებს („არ შეგცივდეს ბარაშკაჯან“ 1909 წ., 1910 წ - თბილისი და 1910 წ.- ქუთაისი), იგი სარგებლობს „ხვლიკის“ ფსევდონიმით.

პოეტი დაენათა ქალაქურ ფოლკლორს, რამაც, ეჭვი არის, გარკვეული გავლენა იქონია მის შემოქმედებაზე. 1906 -1907 წლებში დაბეჭდილი იოსებ გრიშაშვილის პირველი წიგნები „ვარდის კონა“, და „ფანტაზია“ დაწერილია სწორედ თბილისის ფოლკლორის მიბაძვით, რომლებშიც პოეტი ეხმაურება თავისი დროის საჭიროებებს საკითხებს.

1914 წელს, სიტყვაკაზმულმა საზოგადოებამ, რომლის გამგეობის წევრები იყვნენ შიო არაგვისპირელი, სერგო გორგაძე, კოტე მაყაშვილი, იპოლიტე ვართაგავა და სხვები, დაბეჭდა იოსებ გრიშაშვილის პირველი ტომი, ხოლო 1918 წელს გამოვიდა 1915-1916 წლებში დაწერილი და მოხსენების სახით მისი მონოგრაფია „საიათნოვა“. 1945 წელს, საიათნოვას გარდაცვალებიდან 150 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, საბჭოთა სომხეთის მთავრობამ იოსებ გრიშაშვილის, როგორც საიათნოვას პირველი ლექსების მკვლევარს, მიანიჭა სომხეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1921 წლიდან, გრიშაშვილის მეტად ნაყოფიერად მუშაობს როგორც პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურის მკვლევარი. 1922 წელს სახელწიფო გამომცემლობამ

დაბეჭდა გრიშაშვილის ლექსების მე-2 ტომი, რომელიც შევიდა 1914 წლიდან 1920 წლამდე დაწერილი ლექსები. 1927 - 1928 წლებში დაიბეჭდა მეორე მონოგრაფია „ძველი თბილის ლიტერატურული ბოჰემა“. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოვიდა ალექსანდრე ჭავჭავაძის თხზულებანი, ასიკო ცაგარელის კომედიები, აკაკი წერეთლის აკადემიური გამოცემის მესამე და მეხუთე ტომი. გრიგოლ რჩეულიშვილის, სიმონ გუგუნავას, შიო მღვიმელის და მთელი რიგი სხვა მწერლების ნაწარმოებები. ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა გრიშაშვილის საკვლევადი ხასიათის წერილები: „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი“, ყაზბეგი, როგორც მსახიობი“, „ოსტროვსკი საქართველოში“, „ ქართული შექსპირიანი და იოანე მაჩაბელი,“ „ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში“, აგრეთვე წერილები პუშკინის, შევჩენკოს, კრილოვისა და გორკის ქართველ მთარგმნელებზე. თავის მხრივ გრიშაშვილმა თარგმანა თანამედროვე რუსი პოეტების რამდენიმე ლექსი, აგრეთვე აზერბაიჯანის, სომხეთისა და ოსეთის ლიტერატურის ნიმუშები. თვით მისი ლექსები თარგმნილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე. გრიშაშვილი აგრეთვე ცნობილია, როგორც ერთერთი საუკეთესო საბავშვო მწერალი. მას გამოცემული აქვს ბავშვებისათვის საყვარელი მრავალი წიგნი. 1947 წელს იოსებ გრიშაშვილი არჩეული იქნა სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად. ლექსების ერთტომეულისათვის იოსებ გრიშაშვილის 1950 წელს სტალინური პრემია მიენიჭა. ლაურიატმა პოეტმა მას შემდეგ ახალი მარგალიტები შემატა ქართული პოეზიის საგანძურს (ჯიბლაძე, 1961:16).

როგორც აღვნიშნეთ, ლიტერატურულ სარბიელზე გრიშაშვილი ოფიციალურად გამოდის 1906 წელს. ახალგაზრდა პოეტის მოღვაწეობამ იმთავითვე მიიპყრო ფართო ლიტერატურის საზოგადოების ყურადღება. მის პოეზიაზე აღტაცებით საუბრობენ კიტა აბაშიძე, პაოლო იაშვილი, ხომლელი (რომანოზ ფარცხავა) და სხვები. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა აღიარეს ლექსის უბადლო ოსტატად. თავად პოეტის მოწინაარმდეგენიც იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ, „გრიშაშვილმა ლამის არის

თავისი შკოლა შექმნას ლირიკულ პოეზიასი. ჩვენი ახალგაზრდა პოეტები მის გამოსროლილ სიტყვებს იტაცებდნენ, იმეორებენ და ათასი გადასხვაფერებით აწვდიან საზოგადოებას. მისი დაფნის გვირგვინი, ეტყობა, ძილს უფრთხობს ახალგაზრდა პოეტებს"(ნიკოლეიშვილი, 2002; 186.)

იოსებ გრიშაშვილის პოეზიის თაყვანისმცემელი იყო აკაკი წერეთელიც. მართალია მას ამ ახალგაზრდა შემოქმედის პოეზიაზე რაიმე ჩანაწერი არ დაუტოვებია, მაგრამ თანამედროვეთა მოგონებებიდან, ცნობილია, თუ რა მაღალი აზრის ყოფილა იგი იოსებ გრიშაშვილზე: „ახალგაზრდა მწერლებს შორის ქუხსო“- ამბობდა თურმე აკაკი. ხოლო ერთერთ ლიტერატურულ საღამოზე, 1914 წლის 23 აპრილს, მგოსანს ქართულ პოეზიაში სიყვარულის თემაზე დაწერილი ოთხი ლექსი წაუკითხავს: ალ. ჭავჭავაძის „სიყვარულო ძალსა შენსა“, ნ. ბარათაშვილის „საყურე“, თავისი „თვალად-ტანადი" და იოსებ გრიშაშვილის „შენ ხარ ღვთაება"(ნიკოლეიშვილი, 1994:336).

კიტა აბაშიძემ იოსებ გრიშაშვილს „ლექსის ოსტატი" უწოდა მისი აზრით, ამ საინტერესო პოეტმა მოახერხა შეემუშავებინა ლექსის ტექნიკა და ახალი ელემენტები შეიტანა მასში. გრიშაშვილის ლექსთა განხილვამ ჩვენ გვარწმუნებს მასში, რომ იგი ნიჭით მომადლებული მგოსანია, რომელმაც ახალი ელემენტები შეიტანა ქართულ მდიდარ პოეზიაში (აბაშიძე, 1913: 7).

გვხდება ისეთი წერილებიც, რომელთა ავტორებიც კრიტიკულ შეფასებებს არ იშურებენ გრიშაშვილის შემოქმედების მისამართით, მას მიიჩნევენ კამერული განწყობილებისა და თემატიკის პოეტად, რომლის შემოქმედება ვერც მხატვრული ოსტატობით იქცევდა ყურადღებას. ამ შეხედულებას გამოთქვამდნენ ჭ. ლომთათიძე, ლ. ნათაძე, ია ეკალაძე, დ. კასრაძე და სხვები.

როგორც ვხედავთ, ლიტერატურული კრიტიკის დამოკიდებულება იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებისადმი გაორებულია. ერთნი პოეტს სიტყვის აღიარებულ ოსტატად თვლიან, მეორენი - კამერული თემატიკით შემოფარგლულ მოლექსედ. თუმცა

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში თანმიმდევრული სიმტკიცით დამკვიდრდა აზრი იოსებ გრიშაშვილის დიდი მნიშვნელოვანი პოეტური დამსახურების შესახებ, რაც მკითხველთა ფართო წრეებში მისი პოეზიის ფართო პოპულარობით დასტურდება (წარმატებული მონაწილეობა ლიტერატურულ საღამოებში, მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლექცია-მოხსენებები და ა.შ.).

თანამოკალმეთა შეფასებით, იოსებ გრიშაშვილის გარეგნული თუ შინაგანი პორტრეტი ამგვარად იხატება: „ტანმორჩილი და მკვიდრად შეკრული. სანდომიანი და მარილიანი, მშვიდი და წყნარი, თავმდაბალი და უწყინარი, თავდაჭერილი და თავაზიანი, დარბაისელი და ზრდილი, ენატკბილი და ენაგესლიანი. მიხვრა მოხვრაში უბრალო და წყნარად მოსიარულე, მუდამ თავის შიგნით მზირალი, პირველი შეხედვით თითქოს ცივი. ანგარიშიანი, მაგრამ შინაგანი ცეცხლით აგიზგიზებული და წმინდა სიგიჟემდე გატაცებული. ტკბილად მოსაუბრე და ცეცხლის მფრქვეველი, ნაზი და ტლანქი. ევროპელი და აზიელი. მუდამ კი თბილისზე შეყვარებული. ქართული სიტყვის მხატვარი და ხუროთმოძღვარი, - აი, გრიშაშვილი (აბაშიძე, 1971:289).

1904-1910 წლების გრიშაშვილის პოეზიაში უკვე გამოიკვეთა პოეტის ინტერესთა სფერო: სოციალური, პატრიოტული და სატრფიალო მოტივები. 1914 წელს ქართულმა სიტყვაკაზმულმა საზოგადოებამ გამოსცა გრიშაშვილის ლექსების პირველი ტომი. მეორე ტომი დაიბეჭდა 1922 წელს, შემდეგ პოეტის ლექსებს პერიოდულად სცემდნენ სხვადასხვა გამომცემლობები.

1917 ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისთვის იოსებ გრიშაშვილს მიენიჭა პოეტ-აკადემიკოსის წოდება და სომხეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1959 წელს ღვანლმოსილ პოეტს „საქართველოს სახალხო პოეტის“ წოდება მიენიჭა.

გრიშაშვილი გარდაიცვალა 1966 წელს და დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

„ეხ, თუნდ ადრე, ეხ, თუნდ გვიან, ვიცო, ჩემზეც რომ იტყვიან:

„იყო. ეხლა?... მინა ჰმოსავს“.

და ამ წიგნის ძველ სურნელსა, - წინაპართა სუნთქვას ნელსა, -

სხვა იგემებს... სხვა დაჰყნოსავს...“

(გრიშაშვილი, „სურნელება ძველი ხელნაწერებისა“, 2012:242-243)

და მართლაც, იოსებ გრიშაშვილისადმი ცხოველი ინტერესი დღესაც არ ნელდება.

ამის ნათელი დასტურია ის ფაქტი, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურული ისტორიის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა დაამუშავეს 1905-1965 წლების ქართული პერიოდული გამოცემები და პოეტის სიცოცხლეში გამოქვეყნებული თხზულებათა კრებულები. შეისწავლეს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცული მისი პირადი არქივი, რომელიც ავტოგრაფებსა და პოეტის ხელით ნასწორებ ნაბეჭდ ტექსტებს შეიცავს. შესწავლილი იქნა აგრეთვე გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერები, კერძოდ, პირადი არქივები და საოჯახო ალბომები, გამოვლინდა მრავალი უცნობი მასალა. დაზუსტდა და დადგინდა გრიშაშვილის ფსევდონიმები, რომელთა რაოდენობა ოთხმოცდახუთზე მეტია.

„თავიდანვე გრიშაშვილის ლექსებში დიდი მხატვრული ექსპრესიით აჟღერდნენ მომხიბვლელი ჰანგები, რომლებიც მართალია ახალი არ იყო ჩვენი ლიტერატურისთვის, მაგრამ პოეტმა მათ ისეთი დახვეწილი სახე მისცა, ისეთი მოხდენილი ფორმა, სინაზე და სილამაზე მიანიჭა, ისეთი უშუალობა და სიღრმე შეინარჩუნა, რომ ძნელია მოინახოს მეორე პოეტი, რომელსაც ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსვლისთანავე ასე დიდი წარმატება ჰქონდეს. პოეტმა ერთბაშად მოიპოვა მკითხველის სიყვარული, ერთბაშად მიიქცია საზოგადოების ყურადღება. მისი ლექსები ფართოდ გავრცელდა ხალხში და ათეული წლების მანძილზე გრიშაშვილი დარჩა ლირიკული ლექსის შესანიშნავ ოსტატად. ყველამ იგრძნო რომ ამ ლექსებში, ამ უფაქიზეს და უნაზეს ქმნილებებში,

კრისტალივით სუფთა და ანკარა რითმების სამკაულში დანთებული იყო ჭეშმარიტი პოეზიის ცვეცხლი, რომელიც ადვილად აღწევდა მკითხველის გულსა და სულს, ერთბაშად აჯადოვებდა მას“ (ჯიბლაძე, 1961:5).

იოსებ გრიშაშვილის პოეზია ესაა პოეზია მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით გამსჭვალული ადამიანისა, რომელსაც ქვეყნისა და ხალხის ტკივილი ჭრილობად დარჩენია. ი. გრიშაშვილი როგორც მოქალაქეს არასოდეს დაუყრია ფარ-ხმალი. სიკვდილში კი არ ეძებს ხსნას, არამედ სიცოცხლის, სილამაზის სიყვარულის ქურუმად იქცევა. და თუ სიკვდილი თავისი ატრიბუტებით - საფლავით, კუბოთი სუდარით მაინც იჩენს თავს, მისი გამოჩენის საბაზი უსასობაა არა პოეტ მოქალაქისა, არამედ პოეტ-შეყვარებულისა, გამონწვეული სატრფოს ღალატით. აღსანიშნავია ისიც, რომ თვით ამ პერიოდის (1909-1917წ) მის ლექსებში არ წყდება ბგერა იმ მაჟორული აკორდისა, რომელიც გაისმა პოეტის პირველსავე ლექსებში.

გრიშაშვილი ხშირად მიმართავს ეზოპეს ენას თავისი გულის წყრომის გამოსახატავად. მისი ალევორიები ღრმა შინაარსისა ხატოვანი და ექსპრესიულია. სინამდვილის წინააღმდეგ პროტესტი გრიშაშვილმა თეორიულად კი არ შეითვისა, არამედ ცხოვრების სამართლიანად ლოგიკურად გამოიყვანა. მთელი მისი ხანმოკლე ცხოვრება ასეთივე ხანმოკლე მეგობარ ნაცნობების წრეში საკმაოდ დამაფიქრებელ მასალას აძლევდა იმას, ვინც მხატვრული სიტყვით აპირებდა საკუთარი გულისთქმის საჯარო გამჟღავნებას.

იოსებ გრიშაშვილის ლირიკული მემკვიდრეობა გენეტიკურ კავშირს ამჟღავნებს იმ ქართველ მგოსნებთან, რომლებიც ე. წ. აღმოსავლურ ნაკადს ამკვიდრებენ ჩვენს მწერლობაში. ესენი არიან: ბესიკი, საითანოვა, ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანი. შემთხვევითი არაა ის დაინტერესებაც, რომელსაც გრიშაშვილი, როგორც ლიტერატურის ისტორიკოსი, ამ მწერალთა შემოქმედების მიმართ იჩენს.

უნდა ითქვას, რომ 1909-1910 წლებში გრიშაშვილის ლექსის ფორმა უკვე ავიდა თავისი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც მას (ლექსს) უფლება აქვს ლიტერატურის ისტორიაში საკუთარი კვალი გაავლოს. ეს გარემოება მით უფრო საყურადღებოა, რომ გრიშაშვილის პოეტური ძლიერი ხმა უკვე ანგარიშგასაწევია და ფართო მკითხველამდე მიდის. ამის ნათელი მაგალითია ის ფაქტი, რომ 1914 წლის 23 აპრილს გამართულ გრიშაშვილის საღამოზე აკაკი წერეთელიც გამოვიდა. პოეტი შეეხო სიყვარულის საკითხს, მოიტანა ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“ და შემდეგ წაიკითხა ოთხი სატრფიალო ლექსი: ალ ჭავჭავაძის „სიყვარულო ძალსა შენსა“, ნ. ბარათაშვილის „საყურე“, თავისი „თვალად ტანად“, და გრიშაშვილის „შენ ხარ ღვთაება“.

დიდი პოეტისა გამოსვლა შემთხვევითი არ იყო. მან ქართველ მწერალთა შორის გამოჰყო ხუთი მათგანი, რომელთაც არა მარტო ჭეშმარიტი გზნებით, არამედ ინდივიდუალური პოეტური ხმით შექმნეს სიყვარულის ქართული საგალობლები. მართლაც სიყვარულის თემის გრიშაშვილისეული პოეტიზაცია დღემდე ქართული სატრფიალო ლირიკის მეტად კოლორიტულ ნიმუშს წარმოადგენს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გალაკტიონ ტაბიძის დიდი სიყვარული და პატივისცემა იოსებ გრიშაშვილისადმი, რაც ვლინდება იმით, რომ მან 1911 წელს მეგობარ პოეტს სამი ლექსი მიუძღვნა: „შემოდგომა“, „მეგობარს“, „გაზაფხულის ღამე“. გალაკტიონს ხშირად მიუღია მონაწილეობა გრიშაშვილის პოეზიის საღამოებში.

„იოსებ გრიშაშვილს პოეზია გამთბარია იმ ადამიანობით კეთილშობილებითა და სიყვარულით, რითაც ასე უხვად იყო დაჯილდოებული თვით პოეტი, ამიტომ თავიდა თავი იოსებ გრიშაშვილის პოეზიისა, მისი მამოძრავებელი ძარღვი სიყვარულია, სიყვარული ყველაფერი კარგისადმი: სიყვარული თავისი ქვეყნისადმი, მშობლიური თბილისისადმი, მეგობრისადმი, ხალხისადმი, სიყვარული ქალისადმი“ (არველაძე, კურსაშვილი, 1976:14).

იოსებ გრიშაშვილს როგორც ულექსოდ ასევე უსიყვარულოდ ვერ წარმოედგინა სიცოცხლე. „სიყვარულია სიკეთის გამარჯვება და მშვენება“ - ასეთი იყო მისი რწმენა, პოეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სიყვარულმა აქცია იგი პოეტად:

„რომ სიყვარულმა გამხადა ლექსების გამომჩარხველი
დამლოცა... დამიდასტურა ერთი პოეტის სახელი“

(გრიშაშვილი, „მხოლოდ სიყვარული“, 2012:110)

იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი იჭირავს სატრფიალო თემაზე დაწერილ ლექსებს. მეტიც, სატრფიალო მოტივს პოეტმა მისცა ისეთი გაფერადება, რომელიც მარადიულობას, სილამაზეს და კეთილშობილებას უმღეროდა. პოეტის სატრფიალო ლექსებში ჩვენ გვხვდება XVIII-XIX საუკუნეების ქართული ტრადიციების ხმა. იგრძნობოდა ბესარიონ გაბაშვილი, „სიათნოვას“, ალექსანდრე ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ლექსალური სითამამე. სიყვარულის თემაზე დაწერილ ლექსებში პოეტი აქანდაკებდა თავის ფიქრებსა და გრძნობებს, ეძებდა სილამაზეს, ამის ნათელი მაგალითია ქართული სატრფიალო ლირიკის მარგალიტი „რა კარგი ხარ რა კარგი“:

„რა კარგი ხარ, რა კარგი!
კობტა, ზღვისფერ-თვალება,
თმებზე ღამე მიცინის,
პირზე - დღის ბრწყინვალება
რა კარგი ხარ, რა კარგი!
შუშპარა და მჩქეფარე!
როცა მოვკდე. გენაცვალე,
ძეგლად გადამეფარე...“

(გრიშაშვილი, 2012:169)

გრიშაშვილის სატრფიალო ლირიკაში ისე მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული სიყვარულისა და სილამაზის იდეა, რომ ძნელია თქმა სილამაზის სიყვარულს უმღერის პოეტი თუ სიყვარულის სილამაზეს.

სილამაზისაკენ ლტოლვით შეიძლება აიხსნას გრიშაშვილის სატრფიალო პოეზიის ის თავისებურება, რომ მას ტრფობის ერთი გარკვეული ობიექტი არ ჰყავს. გრიშაშვილს არ შეუქმნია ბეატრიჩეს, ლაურასა თუ მერის სიმბოლური სახეები: „მე ვეტრფი ყველა კარგს, შეუმნიკვლელს, მე სილამაზეს ვეძებ ყველგანა!“

გრიშაშვილს ხშირად უსაყვედურებენ სიყვარულით ტკბობის ქადაგებას. შეიძლება პირიქით ითქვას: გრიშაშვილის პოეზიის თავისებური სურნელება სწორედ იმაშია, რომ იგი ტანჯვას უფრო ეძებს ვიდრე ტკბობას:

„მე ტანჯვას ვეძებ ტანჯვას მშვენიერს,
თვით სიყვარულზე შეყვარებულსა.“

(გრიშაშვილი,)

მიუხედავად იმისა, იოსებ გრიშაშვილი ბოლომდე დარჩა სიყვარულის გულატკინებელი და ვნება დაუოკებელ მგოსნად, ამ ნაკადს ბოლო წლებში ორგანულად გადაეხლართა გაფერენილ წლებთა სიმრავლით მოგვრილი სევდა. პოეტის ლირიკაში მკვიდრდება სახე „მოხუცი სატრფოსი“, რომლის თრვალწარმტაცი სილამაზე წლებს გაჰყვა.

თბილისის თემა შედარებით გვიან 1917 წელის რევოლუციის შემდეგ, იკვეთება გრიშაშვილის პოეზიაში. 1917-1920 წლებში დაწერილი მისი ლექსების „ისანი“, „თათრის ქალი სუბსარქისში“, „ტრიოლეტები შეითან ბაზარში“, „მეფე ვახტანგი“, „აშპაშხანისკენ“, „ქორწილი ჩვენ უბანში“ და სხვა. თავისი შინაგანი სულით ენათესავება შესანიშნავ მონოგრაფიას საიათნოვაზე (1918) და ამ გამოკვლევის ერთგვარი გაგრძელებაც - „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“(1927).

აქვე საგანგებოდა უნდა აღინიშნოს იოსებ გრიშაშვილის სამეცნიერო კვლევით მუშაობა. ბევრი ქართველი პოეტი ვერ დაიკვებნის ისეთი სერიოზულობით შერულებული გამოკვლევებით, როგორცაა გრიშაშვილის „საიათნოვა“ , „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ და მონოგრაფია ალ. ჭავჭავაძეზე. ასეთივე სიღრმითა და სიყვარულით იკვლევს პოეტი აკადემიკოსი ქართული კულტურის მრავალ დიდსა თუ მცირე საკითხს, ქართულ თეატრს, თბილისის ისტორიას და სხვა. სტილი გამოკვლევებისა მსუბუქია, ალაგ-ალაგ ლირიკული, ალაგ-ალაგ იუმორის გრძნობით შეზავებული. საინტერესოა გრიშაშვილის მოგონებანიც ქართველ მოღვაწეებზე.

მართალია პოეტი თითქოს ირონიულად იხსენებს თავის გატაცებას საკვლევო მუშაობით, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავს , რომ გრიშაშვილი მონოდებით პოეტია., ის დიდი წვლილი რაც შეაქვს საკვლევო მუშაობაში, შეაქვს როგორც პოეტს. თავისი სურვილის, განწყობის და ინტერესის მიხედვით:

„რად ვეჭიდები ამდენ გუჯრებს, -
ამ ცხრათავიან მღვებებსა, -
ერთ კარგ რითმაში არ გავცლი
მე ამდენ გამოკვლევებსა!“

(გრიშაშვილი, „აპრილი თბილისში“, 2012:24)

უნდა აღინიშნოს, რომ გრიშაშვილი ქართველ მწერალთა შორის ერთერთი საუკეთესო ხელოვანია, რომელმაც დიდად გაათავართოვა ჩვენი საბავშვო ლიტერატურის მხატვრული ჰორიზონტი. გადაუჭარბებლად შეიძლება აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართველ მწერალთაგან ბევრს არ მიუძღვნია ჩვენი ბავშვებისათვის ისეთი ძვირფასი შემოქმედებითი საჩუქარი, როგორც გრიშაშვილს. მისი წიგნი „თქვენთვის ჩემო პატარებო“- ეს მთელი ენციკლოპედიაა, რომელშიც ბავშვის დაუდგომელი, მღელვარე სულიერი გატაცება მთელ ახალ სამყაროს იხილავს, სამყაროს, რომელსაც იგი ეტრფის და რომელიც მას უყვარს! აქ არის ლექსები და სიმღერები, ლეგენდები და თქმულებები,

ზღაპრები და სინამდვილე, თქვენ აქ ხედავთ დღევანდელ ჩვენს ბავშვებს, გვესმის მათი ურიაშული და სიცოცხლისუნარიანი და გვესმის მათი სუნთქვა.

იოსებ გრიშაშვილი ბევრს მუშაობდა საკუთარი ნაწერების დახვეწა-სრულყოფაზე. მართებულად შენიშნავს ირაკლი აბაშიძე: „ძნელია ერთბაშად შეათვალო ამ მშვენიერი მგოსნის მთელი შემოქმედება, მისი ღვაწლი და მონაპოვარი. ამ საქმეს დასჭირდება დრო, ენერჯია და ლიტერატურის ნიჭიერი მკვლევარიც, შეიძლება ისეთივე, როგორც თავად იოსებ გრიშაშვილი იყო და ერთი კი არ, იქნებ რამდენიმე მკვლევარიც, რომელნიც ცალკე-ცალკე განიხილავენ იოსებ გრიშაშვილის მრავალნახნაგოვან შემოქმედებას და მოღვაწეობას - იოსებ გრიშაშვილს - ახალი ქართული ლექსის სათავეებთან; იოსებ გრიშაშვილს - ქართულ თეატრში; იოსებ გრიშაშვილს - მთარგმნელს; იოსებ გრიშაშვილს - საბავშვო პოეტს; იოსებ გრიშაშვილს - ლიტერატურის მკვლევარს; იოსებ გრიშაშვილს - რედაქტორს; იოსებ გრიშაშვილს - უნიკალურ ბიბლიოთეკარს და ბიბლიოგრაფს; იოსებ გრიშაშვილს - უჩვეულო დეკლამატორს; იოსებ გრიშაშვილს... კიდევ რამდენი რამ ჩამოვთვალოთ. მეტად ფართო იყო მის ასპარეზი და ჰორიზონტი“ (აბაშიძე, 1971:156).

იოსებ გრიშაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა საუკეთესოთაგანია. მისი ერთი თვალის გადავლებითაც კი ნათელია, რაც ფაქტიზი და მდიდარი ბუნებისა იყო მისი მფლობელი, სახალხო -პოეტი აკადემიკოსი, მკვლევარი და ლიტერატურის ისტორიკოსი იოსებ გრიშაშვილი (არველაძე, 1976:4).

იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში ერთ-ერთი წამყვანი თემაა თბილისი, თავისი წარსულითა და აწმყოთი, რასაც ახსნა პოეტის იმ სიყვარულში ეძებნება, მშობლიური ქალაქისადმი ასე მოჭარბებულად რომ ჰქონდა. „მე თბილისი მიყვარ - წერს პოეტი ერთგან, ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს საქართველოს მთრთოლვარე გული, ეს დასაწყისი, და დასასრული ჩემი არსებობისა“... მართლაც, „თბილისი იყო მისი ლექსების მასწავლებელი“, მასაზრდოებელი წყარო და მაცოცხლებელი ძალა.

იოსებ გრიშაშვილის მეგობარი, სერგი ღურმიშიძე, იგონებს, თუ როგორ უსიტყვოდ ეალესებოდა პოეტი თბილისი ქუჩებს, „ცაში აზიდულ პატარა აივნებს და ეკლესიების ხავსმოდებულ კედლებს“ (ღურმიშიძე, 1985:273).

სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ამ ორიგინალური პოეტური ბგერწერის შემოქმედის ლირიკული მემკვიდრეობის შესწავლაში. კონკრეტულად კი განგვეხილა ის ლექსები, რომლებიც თბილისზეა შექმნილი. ამაღდროულად შევხებოდით მის გამოკლველებსაც. განსაკუთრებული ყურადღება დაგვეთმო „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემისათვის“, რომელიც ერთგვარი მათიანია ჩვენი დედაქალაქის კულტურული ცხოვრებისა.

თავი II

იოსებ გრიშაშვილის პატრიოტული ლირიკა

(„საქართველო ბეჭედია ბაჯალლო და თბილისი - შიგ ჩასხმული ბადაღში“)

ყველა დიდი შემოქმედის დარად, იოსებ გრიშაშვილი სულით ხორცამდე ეროვნული პოეტია. მის ლირიკას ასაზრდოებს მამულზე ფიქრი, ხოლო მის გრძნობებს

კვებაუს სამშობლოს სიყვარული. სწორედ ამიტომ უღერს ასე ორგანულად პოეტის მიერ ერთგვარი სიამაყითა ნათქვამი სტრიქონები:

„ეს მთა ჩემია! ეს ხე ჩემია!“ –
მე ვიმეორებ ყოველ ცისმარე.
სხვის მიწის ხვეჭა არა გვჩვევია,
ჩვენ საკუთარი ჩვენიც ვიკმარეთ.
„ეს მთა ჩვენია! ეს ხე ჩვენია!“ –
მე ვიმეორებ ყოველ განთიადს.
თუკი რამ კარგი გადამრჩენია,
ისიც სამშობლოს დროშად ანთია.

(გრიშაშვილი, „სამშობლოსადმი“, 2012:67)

გრიშაშვილი პატრიოტულ ლირიკას სათავეს აძლევს 1907 წელს დაწერილ ლექსი „ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს“. ეს ლექსი დაწერილია „ტყემ მოისხა ფოთოლის“ მიბაძვით და ილიასეული ნალველითა შთაგონებული:

„გლოვობს ყველა ... მხოლოდ აქ
განცხრომა აქვთ მტარვალეებს...
ქართველნო დაჩაგრულნო,
როდის გაახელთ თვალებს?“

(გრიშაშვილი, 2012:5)

პოეტმა იპოვა თავისი აზრების სწორი გამოხატულებანი, მიმზიდველი ფორმები, და ყოველივე ეს ერთად აღებული, იყო სათავე იმ პატრიოტიზმისა, რომელიც მომხიბლავად მოსჩანს მის შემოქმედებაში. ამიტომ დიდი პოეტური გულწრფელობით, დიდი დამაჯერებლობით გაისმის სიტყვები: „და თუ რამ კარგი, გადამრჩენია, ისიც სამშობლოს დროშად ანთია.“

როგორც ჭეშმარიტ მამულიშვილს, მასაც გააზრებული აქვს, რომ უპირველესი მოვალეობა ადამიანისა სამშობლოს ერთგული, დაუღალავი, ყოველდღიური მსახურებაა:

„გიყვარდეს ლექსი გულის მხილველად,
აპრილის სუნთქვა, შრომა მკათათვის
ყოველდღე ჰკითხე შენს თავს პირველად:
- რა გავაკეთე სამშობლოსათვის?“

(გრიშაშვილი, „ი. გრიშაშვილს“, 2012:129)

პოეტი მოთქვამ მწარედ იმის გამო რომ მისი სამშობლო „ისეც დამწვარ დატანჯულს, უყიდიან მიწა-წყალს, უგინებენ ენას, რჯულსა“, თუმცა პოეტი იმედით შეჰყურებს მომავალს, ამიტომ ამბობს ასეთი ოპტიმიზმით: „არ დაირღვევა მამული ძველი, აყვავებული ქართლის ბუნება, ქარი, ავი და განუკითხველი, ჩვენს კარს ამაოდ ეჯახუნება“. სამშობლოს გადარჩენის იმედს პოეტს უფლის წყალობის რწმენაც მატებს:

„ელვარებს ზეზი ამბიონზე ოქრონემსული
და საკმეველი ისე დაჰქრის ნაზად და მწველად -
თითქოს მლოცველებს გვინწევს პირჯვრის გამომსახველად,
თითქოს ასხივდა კელაპტრებად წინაპართ სული.
ახ, როგორ მიყვარს მე ეს ლოცვა, ლოცვა, დაისი;
ჰა, გადავშალე სასოებით მეც სახარება,
ჰა, წარვსთქვი ლოცვა, სულ სხვა ლოცვა, ჯერ ხელუხლები
და ნინოს ჯვრის წინ მოვიყარე კრძალვით მუხლები.“

(გრიშაშვილი, „სიონში“, 2012:255)

პოეტი ქვეყნის მფარველობას წმინდა ნინოს არაერთ ლექსში ევედრება. სიონისკენ რწმენით მიმავალი ძველ ლოცვებს იმეორებს და მოციქულთა სწორს ივერიის აღდგენას შესთხოვს:

„შენ განანათლე ძველი ივერი,
ვაზის ჯვრით ხელში ერს მოევლინე -
მოგვეცი რწმენა ღვთივ-მშვენიერი
და კერპთ-ბომონი დაგვანყველინე.
ო, მწამხარ! მწამხარ! და შენ, უხრწნელსა
მსურს გიძღვნა მგოსნის შარავანდედი:
ჰა, ვეამბორე ვაზის ჯვრის წნელსა,
ჰა, წამოვანთე შენს წინ კანდელი...“

(გრიშაშვილი, „წმინდა ნინო“, 2012:245-246)

იოსებ გრიშაშვილი თავის ქმნილებებში სამშობლოს ფიქრსა და პატრიოტულ გრძნობას გამოხატავდა. ამიტომ არ იყო შემთხვევითი, როცა კრიტიკოსების პასუხად პოეტი მაშინ ამბობდა:

„ვის შეუძლია ცილი დამწამოს
ვის შეუძლია მითხრას არ თქმული,
რომ არ მიყვარდეს ჩემი სამშობლო,
ჩემი ერი და ჩემი მამული?“

(გრიშაშვილი, 2012:28)

საქართველოზე, მის წარსულსა და მომავალზე ფიქრითაა ნასაზრდოები 1912 წელს დაწერილი ლექსი „სამშობლოს ნანგრევებში“, რომლის მიზანიცაა ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ მოწოდება. ნაწაროების თემატურად ეხმაურება ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურებს: „საქართველო იყიდება“ (1910) და „ლიტერატურული საღამო“ (1917).

ხოლო როცა საქართველოს, ისეც დამწვარ დატანჯულსა,
უყიდიან მიწა წყალსა, უგინებენ ენას, რჯულსა, -
მაშინ მყისვე მაგონდება ანანია თავის ფიცით

და მსურს მეც ვთქვა : ხანჯლის დაკვრა ქართველებმა გულში ვიცით.

(გრიშაშვილი, 2012: 283)

„სისხლის ზღვაში მობანავე სამშობლოს ხილვა, ქარის ფრთებზე დაფლეთილი დროშის შრიალი, მამულისთვის მკერდგაპობილი მებრძოლი გმირების სახეები, ჩვენი წარსული დიდების უტყუარი მაცნენი - ძველი მონასტრების, და წინაპართა აკლდამები - ეს ყველაფერი, თუ ერთის მხრივ პოეტის გულში ეროვნული სიამაყის გრძნობას ბადებს, მეორეს მხრივ იმის ტრაგიკულ განცდასაც ამძაფრებს, რომ ყოველივე ეს ისე დამტკნარა და დაკნინებულა რომ, „სხვას მიაქვს ჩვენი სულის სიამაყე , წმინდათა წმინდა..“ (ნიკოლეიშვილი, 2002:195). პოეტის ლირიკაში ფეთქავს საბედისწეროდ დაჭიმული ეროვნულ-პატრიოტული ნერვი, რაც განაწყობს ლექსის ლირიკულ გმირს ერის ისტორიული თავისთავადობის გადასარჩენად მახვილით ხელში შეეგებოს მტერს:

„სიზმრად ვნახე საქართველო - სისხლის ზღვაში ბანაობდა

და დროშა კი დაფლეთილი ქარის ფრთებზე ქანაობდა.

და მეც ვითომ ღრუბლებიდან დავყურებდი ამ ნაპირებს,

სადაც ნაშთი ჩაჰხვეოდა მკერდგაპობილ მებრძოლ გმირებს;

დავყურებდი ძველ მონასტრებს, ძველ აკლდამებს წინაპართა,

სადაც ერმა ივერიის სისხლის დროშა ზე აღმართა,

და ვფიქრობდი: ნუთუ ხალხი ისე დატკნა და დაკნინდა,

რომ სხვას მიაქვს ჩვენი სულის სიამაყე, წმინდათ წმინდა?!

(გრიშაშვილი, 2012:126)

ეროვნული ღირებულებებისა და ქვეყნის თავისუფლების დასაცავადაა დანერგილი ლექსი „საქართველოს მტრებს“, რომელიც 1919 წელს ფრანგულ ჟურნალში დაბეჭდილია. პოეტს ეს ლექსი დაუნერია ბათუმის გენერალ-გუბერნატორის, ინგლისელი ოკუპანტის (კუკოლენსის) მუქარის საპასუხოდ და წაუკითხავს ბათუმში 1919 წელს გამართულ ლიტერატურულ საღამოზე.

ლექსი „ყველა ჯურის მოლაღატის, ვერავის და ჰარამზადას“ გასაგონადაა დანერგილი. ისეთების, რომელთაც „უნდათ, რომ საქართველო - ეს პატარა ნატერის თვალი კვლავ გახადონ სხვისი მონა, მორჩილი და შენამკრთალი“ (გრიშაშვილი, 2012:284). პოეტს ღრმად სწამს, რომ ამას მტერი ვერ ეღიროსება. „ვიდრე ზეცა არ შესწყვეტს მზის ჩანჩქერებს, ვიდრე მტკვარი თავის ბუტბუტს არ მოსპობს და შეაჩერებს“, საქართველოს დამორჩილება და სიკვდილი ვერ მოხერხდება.

პოეტს გული სწყდება, რომ ბევრი სარგებლობს საქართველოს სტუმართმოყვარეობითა და სიკეთით. ამავდროულად იგი აფრთხილებს „გველაძეებსა“ და „პოლიტიკურ მაჭანკლებს“, რომ თუ მათ გულში ბოროტი ზრახვა გაიჭაჭანებს, ქართველები

„ავზვირთდებით ისე რისხვით,
ისე მწვავედ, ღრმად, საგრძნობლად,
რომ მტერს ერთ კაცს არ გადვურჩინთ
მათი ამბის მოსათხრობლად...
დე, იცოდნენ სხვის სამშობლოს
ჩვენ არასდროს შევეხებით
და ჩვენსასაც არ დავუთმობთ,
რომ გაჰქელონ ტლანქ ფეხებით.“

(გრიშაშვილი, 2012:285-286)

ამავე განწყობითაა დანერგილი ლექსი „ახალ ხელისუფლებას“, რომელშიც პოეტი ილაშქრებს საქართველოს დამოუკიდებლობის ხელმყოფთა და მათ ხელშემწყობ ძალთა წინააღმდეგ, რომლებმაც გაბედეს და „ქართველთა წმინდა სისხლი დაღვარეს და ააშხეფეს“. პოეტი მავანთ ახსენებს ქართველის დაუმონებელ ბუნებას, მებრძოლ ხასიათს და ერთგვარი სიამაყით ამბობს: „გაუმარჯოს საქართველოს“ (გრიშაშვილი, 2012:304-305).

თავისუფლების საგალობელს წარმოადგენს ლექსი „ქართული სიმღერა“:

„თავისუფლება“, „თავისუფლება“,

აი ეს სიტყვა, სიტყვა თილისმა:

ვით მომხიბლავი ჩოგანის ცემა,

ირგვლივ ხმაურობს, ირგვლივ გაისმის...“

(გრიშაშვილი, 2012:179)

აკაკის მსგავსად, იოსებ გრიშაშვილი საქართველოს ავადმყოფ სატრფოდ წარმოგვიდგენს და ლექსში „სატრფო ავად გამხდარა“ ეპიგრაფად სწორედ აკაკის სიტყვებს იყენებს: „მაგრამ იცი, ჩემი სატრფო ვინ არი?“

პოეტი აცნობიერებს, რომ ქვეყნის ავადმყოფობაში სწორედ მის შვილებს მიუძღვით ბრალი, ამიტომ განკურნებაც, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად, მათი ვლდებულებაა:

„დღე, მე ვიყო ზვარაკი! დღე, დამენთქას მე ბედი!

ოღონდ სატრფო მიცოცხლე, მომავლისა მორბედი...

და თუ მგოსნობაც გინდა: დაგედები მაღამოდ -

ოღონდ აღსდევ, მომავალს ერთად მივესალამოთ!“

(გრიშაშვილი, 2012:178)

პოეტი ხედავს, რამდენად უფრო ადვილია სნეული ადამიანის განკურნება, ვიდრე სნეული ქვეყნისა, თვით მას ხომ ფიჭვ-ნაძვნარში გატარებულმა ზაფხულმა უშველა, სნეულ ივერიას" კი „ვინ უწყის, როდის" მოეძებნება საშველი!..

რა თქმა უნდა, პოეტი არ ფიქრობს რომ ეს საშველი თავისთავად გაჩნდება. მის მოსაპოვებლად ბრძოლაა საჭირო და რწმენა, სწორედ ამიტომ ამბობს პოეტი ასე თავდაჯერებულად: „მე ჩემს რწმენის კანდელს არ ჩავაქრობ არასოდეს!“ (გრიშაშვილი, 2012:76). სამშობლოს მაინც დასჭირდა, პოეტი არც იარაღის გამოყენებას არ მოერიდება ქვეყნის დასაცავად:

„შაჰმა ღრუბელმა ჩანთქა მნათობი,
მზე აღარ ჰკეცავს ღრუბელს ფარჩებად, -
აღბათ მეც უნდა ავილო თოფი
ჩემი თბილისის გადასარჩენად.
სამშობლოსათვის, როგორც რიგითმა
მებრძოლმა, უნდა ვიხადო ვალი!
ამინ! დე, ჩემი სათუთი რითმა
ომში ავარდეს, ვით ქარიშხალი.“

(გრიშაშვილი, „თბილისის პოეტი“, 2012:87)

ერთმანეთს აღარებს ორ სატრფოს ქალსა და სამშობლოს - გრიშაშვილი, სიყვარულის ეს უდიდესი მომღერალი წინა პლანზე მაინც სამშობლოს აყენებს:

„მიყვარხარ, ქალო, გფიცავ, მიყვარხარ,
მიყვარს ოცნება ცრემლით აღქმული,
მაგრამ უფრორე, ჰოი, ქალწულო,
მიყვარს სამშობლო, ჩემი მამული...“

(გრიშაშვილი, 2012:301)

გრიშაშვილის პოეტურმა ლირიკამ სამამულო ომის დღეებში განსაკუთრებული სიღრმე შეიძინა. პოეტისათვის აღარაა კითხვის ნიშნის ქვეშ დასმული ომისა და სამშობლოს ურთიერთობის საკითხი და ამიტომ ყოველგვარი სხვა განცდა მოქალაქეობრივმა ვალმა დაჩრდილა. დარჩა ერთი დიდი სურვილი, რომ მისი „სათუთი რითმა ომში ავარდეს, ვით ქარიშხალი!“

სამამულო ომის თემამზე დაწერილი ლექსები ყურადღებას იპყრობს თავისი თემატური მრავალფეროვნებით. აქაა ლექსები გმირულ ქალაქებსა და მათ დამცველებზე, ლექსები - მოწოდებანი, ლექსები ფრონტისა ზურგის ურყევ სიმტკიცებზე, გამარჯვების რწმენაზე და სხვა. პოეტის, როგორც ხალხის იდეური დამრამბველის,

მაღალი დანიშნულება სამამულო ომის დღეებში კარგადაა გამოხატული ლექსში „საიათნოვას ჭიანურით“.

პოეტის ღრმა რწმენით, სამშობლოსადმი და მშობელი ხალხისადმი ერთგული სამსახური ადამიანის უმაღლესი მოვალეობაა:

„მე მაგონდება განვლილი წლები,
ორივეს გვექონდა ტუჩზე ხავერდი,
ებლა გვამშვენებს თოვლის ეკლები,
შემომბაბერდი... შემოგაბერდი...
მაგრამ ლექსებში ხომ ვართ ყმანვილი!
წინაპართ მცნებას მივდიოთ მტკიცედ;
ერთი გული გვაქ და ეს ნაწილიც
ხალხის სამსახურს ერთგულად მივცეთ“.

(გრიშაშვილი, 2012:135)

როგორც გულანთებულ მამულიშვილს შეეფერება, იოსებ გრიშაშვილიც მზად არის სიცოცხლე დათმოს სამშობლოს საკეთილდღეოდ:

„მიყვარს სამშობლო, ჩემი მამული.
გულში მიღვივის მამულის ტრფობა,
წინაპართაგან გადმონაცემი;
სამშობლომ მომცა ნიჭი ღვთიური,
მას უნდა ვუძღვნა სიცოცხლე ჩემი.“

(გრიშაშვილი, „შენ გეჯავრები?“ 2012:66-67)

პოეტი მსგავს სიმტკიცესა და პატრიოტულ შემართებას მოითხოვს სხვისგანაც, რადგან მიაჩნია, რომ „ამას გვავალებს ჩვენი წარსული“:

„იყავი მტკიცე გარეთ და შიგნით, -
ამას გვავალებს ჩვენი წარსული,

ამას ღალატებს ამონაქვესული

„ქართლის ცხოვრების“ ძვირფასი წიგნი.“

(გრიშაშვილი, „ჩემს დებს და დედებს“, 2012: 80)

ამრიგად, იოსებ გრიშაშვილმა მხურვალე ლექსებით უმღერა საკუთარ სამშობლოსა და მის დედაქალაქს. სწორედ თბილისზე შექმნილი ლექსებია მისი პატრიოტული ლირიკის ერთი პრინციპული ნაწილი:

„ბევრი ლექსი ამოვშაქრე გულიდან,

სამშობლოზე ვგალობ სიხარულითა.

ჩემს თბილისში კენჭიც მღერის, ლამაზობს,

ყოველი დღე მე სიყვარულს მთავაზობს.“

(გრიშაშვილი, 2012:177)

თავი III

თბილისი - პოეტური შთაგონების წყარო

ი. გრიშაშვილის ლირიკაში

იოსებ გრიშაშვილმა გატაცებით უმღერა თბილისს, მის ნარიყალას, ისანს, სუბსარქისასა და აშპაშხანს, ორთაჭალასა და ხარფუხს, ყაბახსა და კოჯორს, თბილისის ყოველ ფოლორცსა და შუკას, წელგამწყდარ ქუჩებსა და მერცხლის ბუდესავით მიკრულ სახლებს, ყოველ კენჭს და ფურცელს, ქუჩაბანდებსა და ნანგრევებს. „მან ახალ სიამაღლეს აზიარა ქართული პოეზიის ერთი თავისებური ტოტი - თბილისის აშუღური ლექსი. პოეტი იყო და რჩება ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ უპირველეს მომღერალ-მეხოტბედ“ (მიშველაძე, 1998:212). აკი თავადაც ამბობს პოეტი: „ვაქებ თბილისს, სალაყბოს, ყაბახს და მხიბლავს ნუში, აშპაშხანა, ყურძნის მტევანი...“ (გრიშაშვილი, „სონეტი“, 2012:267).

„თბილისო, ჩემო თბილისო, მითხარი, როგორ არ გაქო,

სამშობლოს ნატვრის თვალი ხარ, გმირების დედაქალაქო!

(გრიშაშვილი, „ახალი თბილისი“, 2012:163)

თბილისს წელიწადის ყველა დრო სხვაგვარად აფერადებს და პოეტის გულიც „ისე ცეკვავს, ისე ლელავს, რომ ეშხისგან მკერდის ღიღებს“ დაწყვეტა დამუქრებია:

„რომ იცოდე, რა კარგია ეხლა, ამ დროს ეს მიდამო -
წუთის განცდა სიცოცხლეა, საუკუნო, სამუდამო;
ამ დროს მტკვარი ჭიანურობს და ამრუდებს წყალზე ხაზებს,
ამ დროს მხცოვან მთაწმინდასაც მოგონება ამაღბაზებს...
თბილისში ვარ! და ეს გული ისე ცეკვავს, ისე ლელავს,
რომ ეშხისგან მკერდის ღიღებს დამინყვეტს და დამითელავს;
დღეს ნიავსაც სხვა ფერი აქვს, სხვა ციმციმი, სხვა იერი,
დღეს ეს ლექსიც თითქოს გახდა მცვრიანი და ნოყიერი...“

(გრიშაშვილი, „შემოდგომა თბილისში“, 2012:174-175)

მშვენიერია მზით განათებული თბილისი, მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავია იგი ღამით, მაშინ, როცა

„აქ ვარსკვლავები, სულ ერთი ციდა,
ძირს ჩამოდიან ციურ კამკამით,
თითქოს ეს ზეცა, კაშკაშა ზეცა,
გადმომყურავი ნაირფერებით,
მოსწყდა გუმბათს და თბილისს დაეცა,
სინათლის ფრქვევით და ამღერებით“

(გრიშაშვილი, „თბილისი ღამით“, 2012:172)

პოეტს ბედნიერებად ისიც ყოფნის, რომ იგი თბილისის მკვიდრია, მის მადლიან მიწაზე დააბიჯებს, მას დასტრიალებს თავს მისი „აჯაგრებული ფიქრებიც“, რომლებიც არწმუნებენ, რომ

„არ არის ქვეყნად თბილისის გარდა,

სხვა უფრო მძაფრი და ნაზი მხარე.
თბილისის კენჭებს თეხს რომ ვახვედრებ,
ბედნიერი ვარ, თამამი მაშინ.
გულში ვიხუტებ პოეტებს, მხედრებს,
რომ ბედთან უფრო ვიგრძნო თამაში.“

(გრიშაშვილი, „თბილისის მინა“, 2012:11)

იოსებ გრიშაშვილისათვის თბილისი მარტოოდონ ქალაქი კი არ არის, იგი მისი მშობელია, მასწავლებელია, ამიტომ ამბობს ასე თამამდ ლექსში „თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“: „პოეზიაში მე თბილისის მინით მოვდივარ - სიტყვის წკრიალით, რითმის ჩაბუქვით“ (გრიშაშვილი, 2012:155). სწორედ თბილისს აღუზრდია იგი „სულითა და ხორციით“, მას უკავშირდება პოეტის ყველაზე ტკბილი მოგონებებიც:

„ქალაქმა მზარდა. სულით, სხეულით
ვეკუთვნი თბილისს, ჩემთვის უცხოა
სოფლის უბინო ჰასაკოვნება...
დავქროდი ჩემი უბნის ღორღებზე,
ცა ქუდად მქონდა, მინა - ქალამნად.
უნიგნოდ ბევრი რამ შევისწავლე,
ცხოვრების წიგნში ვიძირებოდი“.

(გრიშაშვილი, „40 წელი დღეს შემისრულდა“, 2012:21-22)

ან კიდევ:

„მე თბილისმა შემამკო, მე თბილისმა შემზარდა,
და მეც ვმღერი თამამად, როგორც შეხერებადა“.

(გრიშაშვილი, „მე და ევროპა“, 2012:21-22)

პოეტმა არაერთი ლექსი უძღვნა მდინარე მტკვარს, როგორც მშობლიური ქალაქის ორგანულ ნაწილს:

„მტკვარი აშლილი, მტკვარი მღელვარე,
მზის ალერსიან ოქროში ლღვება,
მოდის, მიიწევს ქვევით, სხვა მხარეს,
რომ შეიერთოს არეზის ტალღა.“

(გრიშაშვილი, „მტკვარი და არეზი“, 2012:91).

მტკვარი, როგორც შემოქმედებითი შთაგონების ერთ-ერთი წყარო ორგანულად ერწყმის ბარათაშვილის უკვდავ სახელს ლექსში „ადიდებულა მტკვარი“:

„ადიდებულა ბარათაშვილი,
მოაქვს ტივები ლექსის სტრიქონად.
არც დატირება, არც ჰანაშვილი,
ტალღამ გმირები გულს ჩაიკონა.
მოსთქვამს ტირიფი, იღვრება კვარი,
- ადიდებულა მტკვარი.“

(გრიშაშვილი, 2012:15)

ან კიდევ:

„მტკვარიც, მთელი დღის სვლით დაქანცული,
განვება ღამით მოსასვენებლად.
ადგება ტატო ლექსით ქალწულით,
რომ გაახაროს ქართლის მშვენება.“

(გრიშაშვილი, „თბილისი ღამით“, 2012:15)

პოეტმა იცის, რომ მშობლიური ქალაქის სიყვარული მხოლოდ სიტყვებით კია არა, მასზე მზრუნველობით გამოიხატება, თუნდაც ეს მზრუნველობა ისეთი მცირედი იყოს, როგორიც „ხარფუხის გზების“ ქვებისგან გასუფთავებაა:

„როცა ხარფუხის გზებზე ფეხებში მხვდება ქვები,
ვიღებ და გვერდით ვაგდებ - მწამს, დამლოცავენ სხვები.“

ასეა ყოველ ღამე: ქუჩიდან ღორღებს ვხვეტავ...

ო, მომავალი მგზავრო, გზას გისუფთავებ, - ხედავ?"

(გრიშაშვილი, „როცა ხარფუხის გზებზე“, 2012:98)

გრიშაშვილის თბილისზე დაწერილი ლექსები მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის კოლორიტით სუნთქავს. ყარაჩოღელი და ჰამქერი, კრივი და ჭიდაობა. დუდუკი და ჭიანური, ტკბილი ბაიათი და უტკბეს სატრფოსთან გამოსაუბრება. პოეტი გულისტკივილით შენიშნავს, რომ გრ. ორბელიანის ლოპიანებისა და ბეჟანა მკერვალების სამყარო მოისპო.

ერთ-ერთი პირველი ლექსი, რომელიც ძველი თბილისის ყოფითაა ნასაზრდოები, რომელიც 1918 წელს არის დაწერილი „ტრიოლეტები შეითანაზარში“. მასში პოეტური განუმეორებლობით გამოიხატა საქართველოს დედაქალაქის სიძველეთადმი პოეტის ტრფიალი („მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთვარი! და მსურს აქ მოვკდე, რომ მისი მზე სწავდეს ჩემს კუბოს...“) და მრავალი დამახასიათებელი შტრიხით აღიწერა გარდასული ცხოვრების თავისებურებანი.

„აქ ძველი თბილისის გულის სიღრმეში გამოჩნდა ბუნებრივი ანკარა წყარო და დასაწყისი ჯადოსნური ლამაზი პოეზიისა. მე შევსვი ეს წყარო ორივე ხელით და ვამაყო, რომ ჩემს ძარღვებში მისი მაღლიანი ნაკადი მჩქეფარებს“, - წერს იოსებ გრიშაშვილი.

ეტაპობრივად სახე იცვალა თბილისმა ისევე, როგორც ცხოვრების საერთო წესმა, გრიშაშვილის შემოქმედებაში ჩნდება საეტაპო ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან“, რომელშიც იმდენი პოეტური ტკივილია დაგროვილი, იმდენი შესანიშნავი სახე და გრძნობაა ჩაქსოვილი, - თითქოს პოეტი შეეცადა მთელი თავისი გზნებაა ერთად გამოეხატა, ამიტომ უკანასკნელი რეჟივები უძღვნა საყვარელი ქალაქისთვის:

„შენ აგისნია ბევრი ქარაგმა,

ქორონიკონის კენტი და ლუნი, -
მაგრამ არ იცი, ჩვენმა ქალაქმა
რა სურათები მოქარგა უნინ.
თუ ჩავივლია სირაჩხანისკენ,
დაჰკვირვებისხარ ამ ქუჩებს კარგად -
გაგაოცებდა რუმბების სისქე
და ჭიანურზე დაკრული ქარგა.“

(გრიშაშვილი, 1012:12-13)

„ძველი თბილისის ამ კოლორიტული სიძველეების დაცვისათვის აქტიური ზრუნვა პოეტს თავისი პატრიოტულ მოქალაქეობრივ მოვალეობად მიაჩნია. იგი ნათლად ხედავს, რომ დრომ ახალმა ვითარებამ მკვეთრად და რადიკალურად შეცვალა ძველი ცხოვრების წესი და საფუძველი გამოაცალა წარსულით რომანტიკულ გატაცებას“ (ნიკოლეიშვილი, 2002:196). პოეტი თანადგომას იმ ადამიანებისგან ელოდა, რომელთა ჯერ კიდევ შემორჩენიათ სიძველისადმი სიყვარული, მოკრძალება და პატივისცემა:

„სიძველისადმი გრძნობა, პატივი,
შენში თუ ოდნავ მაინც ელვარებს, -
მიხვდები, ასე ანდამატივით
რისთვის ვდარაჯობ თბილისის კარებს.
მიხვდები რატომ არ დაერიდა
ჩემი ლექსები პოეტთა კილვას,
და რატომ ვცდილობ ამიერიდან
ასე თამამად წარსულის ხილვას.“

(გრიშაშვილი, 1012:12-13)

პოეტს გული წყდება იმის გამო, რომ ძველმა თბილისმა სახე იცვალა, გაქარა ის, რაც მის კოლორიტს ქმნიდა. მეტიც, თითქოს გარეგნული იერსახის შეცვლას მისი შინაგანი ბუნების გადასხვაფერებაც მოყვა:

„აი სერი ჯერ არნახული!
სადღაა ეშხი და სილამაზე!
არ ჩანს ურმები მოჩარდახული
ღამისმთევლებით ბოლნისის გზაზე.
ღვინოს საფლაგზე არვინ მოგიტანს,
ჩამოიხია ბაღდადის ფოჩი, -
ეხ, საღლა ნახავ ელამ მიკიტანს
თავის დუქანთან მიბმული ყოჩით!
კრივი, ამქარი, ცეკვა ართურმა, -
ეს ადათები ძველთაგან ძველი
გადავიწყა სიტყვამ ქართულმა
და დამრჩა... სევდა წაუბაძველი.“

(გრიშაშვილი, 1012:12-13)

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ყოფითი გარემოს ასეთი მკვეთრი შეცვალა განაპირობა ცხოვრების ურბანისტული წესის გაბატონებამაც. თავისი თვალსაზრისის ნათელსაყოფად პოეტი მკვეთრად გამოვლენილ კონტრასტულობით უპირისპირებს ერთმანეთს წარსულსა და აწმყოს:

„დუდუკის ნაცვლად - ქარხნის საყვირი,
დუმბო და ზილი დაახსო რკინამ.
ბულბულს- ყაფაზა, გრძნობას- აღვირი,
აღარც დუდუკი.. აღარც ყიჟინა.
და მე არ ვიცი ვისღა ვემონო,

ასეთ ყოფაში თითქოს მოვბერდი..

ვრჩები ოტელო უდებდემონოდ

მე, სხვა ცხოვრების წინამორბედი.“

(გრიშაშვილი, 1012:12-13)

პოეტი გამოეთხოვა ძველ თბილისს, თუმცა ეს გამოთხოვება სავსე იყო სინანულითა და ცრემლით. უკმაყოფილებას აძლიერებდა ძველი თბილისის ადათების მივიწყების ტენდენციაც:

ძველო თბილისო, ჩემი მიზნები

აღარ მაქვს გულისი რომ გინახავდი.

გათავდა უნდა შევცვალო გზები,

ძველო თბილისო გტოვებ... ნახვამდის!“

(გრიშაშვილი, 1012:12-13)

ძველ თბილისთან პოეტის გამოთხოვება მკაცრი რეალობითა და აუცილებლობით განპირობებული იძულებითი ნაბიჯია. ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან, ანუ დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს“ პოეტური გამოგლოვებაა ძველი თბილისის ტრადიციების. „ნაწარმოების სიუჟეტურ დრამატიზმს ორი დიამეტრულად დაპირისპირებული მხარე განსაზღვრავს, წარსულის გაქრობით გაჩენილი უსაზღვრო სევდა და ის ახალი სინამდვილე, რასაც ამ სამუდამოდ გამქრალი, რომანტიკის ადგილი დაიჭერია... პოეტი ფანატიკური მონივნებით იხსენებს წარსული დროების სათუთ სურათებს და ერთბაშად ხსნის ფარდას იმ საიდუმლოს რაც მას ასე თავდავიწყებით იზიდავს ამ სიძველეში. გარდასულ ჟამთა სიღრმიდან ამოზიდულ ამ ნაღვლიან აღსარებას სიმძაფრეს სძენს კოლორიტული შთამბეჭდაობით გამოძეწილი შტრიხები უძველესი ყოფისა“ (ნიკოლეიშვილი, 2002:196).

ეს ურთიერთდაპირისპირება პოეტში აჩენს ნოსტალგიას გარდასულ დროთა, რაც გამოიხატა 1920 წელს დაიწერილ ლექსშიც - „ამჰამხანისკენ“. ამჰამხანისკენ,

კლდის ქიმიდან ჯავრით მზირალ ნარიყალასთან, გზადჩავლილი პოეტის გულში ერთამნეთს უპირისპირდება გარდასული ცხოვრების რომანტიკა და გაუკუღმართოებული სინამდვილე. პოეტი წუხს, რომ ვეღარ ხედავს ძველებურ ღვინოს სმას, ძველ ყარაჩოღელს, მისი ადგილი დაუკავებია კინტოს - ყალბი გრძნობის ნაქურდალი ხმის პატრონს; და მათ წრეში პოეტი ვერ პოულობს რა მოყვარულ ძმას, ტოლ -ამხანაგს, ბრაზით შეჰყურებს კინტოების ნადიმს, რომელზედაც ის მოუნვევიათ აშპაშხანისაკენ შემთხვევით მიმავალი. ეტყობა ძლიან უკამყოფილო დარჩენილა პოეტი ამ ნადიმით, ამ უჩვეულო სურათით, გაბრაზებულა კიდევ და ლექსი დაუმთავრებია, სიმძიმის გამომხატველი სიტყვებით:

„მოქეიფენო ! ძველმა თბილისმა
მეც ჩამომართვა უძარღვო ხელი,
მაგრამ სად არის ძველი ღვინის სმა,
სად არის ძველი ყარაჩოღელი?
გრძნობა ყალბი აქ ხმა - ნაქურდალი,
ბრაზით შევეყურებ ამ სურათს უჩვევს,
და მერიქიფე ლოთი, მურდალი,
ტუჩზე დამადებს გაქონილ ტუჩებს.
გავტეხავ ჭიქას, რომ ვათქმევინო:
ახლებში არ მყავს ძმა-მოყვარული,
და ავტირდები, როგორც ეს ღვინო
კინტოს პერანგზე ჩამოღვარული" ..

(გრიშაშვილი, 2012:288-289)

პოეტმა სინამდვილის დიდი გრძნობით შთაგონებული ლირიკული სიმღერები შეუქმნა ახალ თბილისს, მისი ცა, ქამრად შემოკრული ატლასი, მხატვრული სახეებით გვიჩვენა, რომ „საქართველო ბეჭედიან ბაჯალლო და თბილისი - შიგ ჩასმული

ბადალში". პოეტი აღტაცებულია ახალი თბილისის მშენებლობით, ამიტომ სხვასაც მოუწოდებს:

„წამო მითხარი, სადაური კაცი ხარ,
რას დაფრინავ ცასი კამარ-კამარა!
შეხე-ადგილს ნაომარს და ნაცხარს,
რა ატლასი შემოუკრავს ქამარად!
რომ ახაროს ახალ ნერგებს მაისურს -
„არ არისო ძველებური ქარვასლა“.
აქ მერცხალსაც უჭიკჭიკოდ არა სურს
მთიდან მთაზე გადაფრენა, გადასვლა.“

(გრიშაშვილი, 2012: 77-78)

ახალი თბილისის ძალამ და მიმზიდველობამ ახალი სახით დაანახა მას თავი და კვლავ აამღერა. პოეტი სურს მშობელი მიწას ჩაეგარდოს თავისი შემოქმედების ფესვებით და ერთგვარი ბავშვური აღტაცებით შესძახოს:

„საქართველო ბეჭეღია ბაჯალლო
და თბილისი - შიგ ჩასხმული ბადალში.
გაცეცერ არეს უხინჯოს და უნალვლოს,
წერეთელის დინჯ შუბლივით გადაშლილს.
ასეთი ცა მე ჯერ არსად მინახავს,
ასეთი მზე მე ჯერ არ შემხვედრია!
ეს ჩუქურთმა ჩამოთვლილი ინახად,
თავისუფალი საქართველოს ხვედრია...
გულო ჩემო, აფეთქდი და დაიძარ!
ჩაეგარდე მშობელ მიწას ფესვებით.
ახალ თბილისს - ახალ კოკორს ნალვიძარს -

უგალობე ნამუსიან ლექსებით.

(გრიშაშვილი, 2012: 77-78)

თუმცა ზემოხსენებულთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც მკვლევარი ა, ნიკოლეიშვილი აღნიშნავს: „მართალია, 30-იანი წლებიდან მოყოლებული იოსებ გრიშაშვილის მთელი ციკლი შეიქმნა თბილისის აღმშენებლობის გამომხატველი ლექსებისა, მაგრამ ამ ნაწარმოებებს ნაკლებად მოდგამს ის ძალა, სიმძაფრე და პოეტური ხილვის თვითმყოფადობა, რაც ძველი თბილისისადმი მიძღვნილ ლექსებში ვლინდება. ჩვენი დედაქალაქის განახლების საქებრად შექმნილი ნაწარმოებები მხატვრული თვალსაზრისით გაცილებით სუსტია, ვიდრე წარსულის გახუნებული ლანდებით ნასაზრდოები ლექსები“ (ნიკოლეიშვილი, 2002:195).

მართლაც, იმ ლექსებში, რომლებშიც ჩვენი დედაქალაქის ძველი კოლორიტია დახატული („გამოთხოვება ძველ თბილისთან ანუ დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს“, „ტრიოლეტები შეთანხაბარში, „აშჰაშხანისკენ“, „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“...), გაცილებით მეტი პოეტური ენერჯია ვლინდება, ვიდრე თბილისის აღმშენებლობების გამომხატველ ისეთ ნაწარმოებებში, როგორებიცაა: „სალამი ნარიყალადან“, „თბილისი ღამით“, „ახალი თბილისი“, „კიროვის ბაღში“, „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“ და ა.შ.

იოსებ გრიშაშვილისთვის თბილისი თავადაა ლექსების საბადოცა და ერთგვარი „სკაც“, სადაც ფუტკრებივით უნდა ფუსფუსებდნენ მისი მგოსნები:

ჩემი თბილისი ლექსის სკა არი,
ჩვენ, პოეტები - შრომის ფუტკრები.
მიყვარს სამშობლოს თხუთმეტი კარი,
მაგრამ თბილისი - განსაკუთრებით.
მაგრამ ცხოვრებამ ვერ გამამრუდა
და ასე მოველ ხალხის გულამდე.

თბილისის მეზვრე დავრჩები მუდამ
სიყვარულიდან სიყვარულამდე.“

(გრიშაშვილი, „ჩემი თბილისი“, 2012:128)

იოსებ გრიშაშვილი დაუნდობელია „ტფილისის ყალბი პოეტების“ უნიჭო ლექსებისადმი. მთავრობის მათმებელი ლექსების ავტორებს „წითელი ფერის მონებს“ უწოდებს, რომლებიც „უნიჭო ლექსებში მოკუნტულან, ვით ტყეში ზღარბი“, „ისტორიული სახელებით ტვირთავენ ნაწერებს“ და პირფერულად ქებენ „ჩაქუჩსა და უროს“. ამით გულმოკლული პოეტი პირდაპირ მიმართავს მშობლიურ ქალაქს:

„ჩემო ქალაქო! როს გიყურებ, მცვივა ცრემლები.
აგრე პატარას, ბნელს ქუჩიანს, ვინრო ხევიანს:
მწამხარ! მიყვარხარ! თუმც მუმლივით შემოგხვევია.
მოლალატენი, მსტოვარები და გამცემლები.“

(გრიშაშვილი, „ლექსები: კრწანისის ალაყაფიდან“, 2012:311-312)

ახალი თბილისის თემა, ისევე, როგორც ოდესღაც ძველი თბილისისა, მჭიდროდ უკავშირდება პოეტის პატრიოტულ მისწრაფებებს. გრიშაშვილისთვის ახალი თბილისი, „ეს ჩუქურთმა ჩამოთვლილი ინახად“ იმიტომაა ასე გასათრთხილებელი, რომ იგი „თავისუფალ საქართველოს ხვედრია!“ იგი მის მოვლასა და პატრონობას ახალ თაობასაც შესთხოვს მამაშვილური დარიგებით:

„შენც სხვას გადაეც, რაც ჩვენ მოგეცით,
გწყალობდეს, შვილო, ეს ცა მაღალი,
დედა-თბილისის გულს გაუფრთხილდი,
არ დაივინყო ძველიც, ახალიც.“

(გრიშაშვილი, 2012: 168-169)

ამრიგად, როგორც განხილულმა ლექსებმა ცხადყო, იოსებ გრიშაშვილის პოემის ერთ-ერთი ძირითადი თემაა თბილისი, მისი კოლორიტული (ძველი თუ

ახალი) სახეებით. ქალაქი, რომელმაც გაზარდა პოეტი, იქცა მისი შემოქმედების იმ მყარ ნიადაგად, საიდანაც ამოიზარდა ჭეშმარიტად ეროვნული პოეზია.

თავი IV

თბილისის ისტორიული წარსულის პოეტური ხატება

იოსებ გრიშაშვილის ლირიკაში

თბილისზე შექმნილ არაერთ ლექსში იკითხება ტკივილიანი ისტორია, ათასი მტარვალის სურვილი, ხელთ ევდო საქართველოს დედაქალაქი:

„ათას ხუთასი მზე გახსოვს, ბევრი რამ გადაგხდენია,

მაგრამ მტარვალთა წინაშე არ მოგიხრია ქედია.“

(გრიშაშვილი, „სალამი ნარიყალიდან“, 2012:170)

პოეტი გატაცებულია საქართველოს ისტორიით. ძველი ხელნაწერებისა თუ წიგნების ფურცლებზე დაეძებს ნაშთს გარდასული დიდებისას. ცდილობს გონების თვალსაწიერით ჩასწვდეს ამა თუ იმ პერიოდის სიღრმეში მიმალულ ფაქტებსა თუ იმ ისტორიულ პირებს, რომელთაც შეძლეს ქვეყნისთვის საქმითა თუ სიტყვით ცრემლის მონაწილეობა, ნუგეშის მიცემა. ამ თვალსაზრისით პოეტი იხსენებს მწიგნობარ მეფეს, ვახტანგ მეექვსეს ლირიკულ თხზულებაში „მეფე ვახტანგი“, რომელიც ლექსისთვის ეპიგრაფად წამძღვარებული მემამიანის ცნობით, „იყო დარბაზსა შინა და განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა“.

„მე შემეყვარდა ძველ წიგნების ნესტი და ჟანგი,

ვეტრფი ყოველგვარ ძველ დანაშთობს, ძველ ნატამალსა.

ახ, ნეტამც იმ ღროს, როცა სწერდა „დასტურლამალსა“

მეფე ვახტანგი!

ხელში - კალამი, წელზე - ხმალი, მკლავზე - დასტანგი.
ის არც სტამბაში თაკილობდა ლურჯ ფემტამალსა.
თვით ყაბახზედაც მტერს ასმევდა თასით წამალსა -
მის ჩოგან-ჩანგი! “

(გრიშაშვილი, 2012:265)

იოსებ გრიშაშვილის კალამი განსაკუთრებული სიტბოთი იხსენიებს ერეკლე მეორეს, ქვეყნისათვის დამაშვრალ მეფეს, რომელსაც „გულის დავთარში ჰქონდა ერთი რამ წადილი“, რომ როგორმე „გადაერჩინა ჩვენი ტანჯული ქვეყანა, იავარდქმნილი თბილისი მზის შუქზე გამოეყვანა“ (გრიშაშვილი, „სალამი ნარიყალიდან“, 2012:170).

იოსებ გრიშაშვილის არაერთ ლექსში თბილისი ორგანულად უკავშირდება ერეკლეს სახელს. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ლექსი „ტრიოლეტები შეითანბარში“:

„მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი!
და მსურს აქ მოვკდე, რომ მისი მზე წვავდეს ჩემს კუბოს,
ან მსურს, მტკვრის ტალღამ ორთაჭალის ხრამს დამაგუბოს!..
(მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი!)
და მე არ მინდა სხვა ანდერძი არავითარი:
ახლიჩეთ მწვადი... სთქვით ლექსები... აჟღერეთ თარი...
რომ საიქიოს საიათნოვა არ წამეჩხუბოს!
მიყვარს თბილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი!
და მსურს აქ მოვკდე, რომ მისი მზე წვავდეს ჩემს კუბოს.

(გრიშაშვილი, 2012:269)

წინაპართა მიერ დაღვრილი სისხლი ჰოეტს ავალდებულებს, „ბილისში როს იხილო მტრების შემოსვლა - იბრძოლე აბჯრის გაცვეთამდე ბებუთით ხელში“

(გრიშაშვილი, 2012: 281). ლექსში „მოლა მინარეთზე“ პოეტი ცრემლნარევი სიმართლით გვიხატავს ალა-მაჰმად-ხანის საბედისწერო შემოსევის ავბედით ეპიზოდს,

„როცა საკუთარ დედაქალაქად
გამოაცხადა თბილისი ჩვენი,
და მკვდრები მტკვარში გადააღაგა,
როგორც ემბლემა გადასასვენი.“

(გრიშაშვილი, 2012:4-5)

ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ერეკლესადმი გამოგზავნილი ალა-მაჰმად-ხანის მუქარით სავსე წერილი - „თქვენ ერთი ჭკვიანი კაცი ხართ, ამგვარი საქმეები განიშორეთ, რომ ქვეყნის თასლიბიც არის, და რუსების შეერთება დაჰხსნა. თუ ამას არ იქმ, ამ ცოტა ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთა სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მსგავსად მდინარეთა გავაკეთებთ...“ მოლალატეთა წყალობით, დამპყრობელმა მიზანს მიაღწია. პოეტი ამ აშემოსევის სავალალო შედეგზე საუბრობს. განსაკუთრებით უსვამს ხაზს დამპყობელთა მიერ ქრისტიანობის, როგორც ეროვნული რელიგიის, შევიწროვებას. ქართულ მინაზე სპარსელთა კეთილდღეობისთვის მლოცველი მოლა ტკივილს იწვევს პოეტში:

„მოლამ მეჩეთში ყურანს აკოცა.

ისმის ლოცვები დროგამოშვებით:

- სპარსეთმა ბევრი გმირი დახოცა
გულში ჩახუტულ წმინდა დროშებით.
ო, დააჩუმეთ... რას ჰკვივის მოლა?
იგი იგონებს, ალბათ, აზანით,
როცა სპარსეთმა ხმლით დაიმონა
პატარა კახი და ალაზანი;
მორჩა. დახურა მოლამ ყურანი,

დოლბანდს შეეხო ცივის მარჯვენით.
მოლა, მეჩეთით გადმომყურავი,
მედიდურობდა ძველ გამარჯვებით.
და ვთქვი: თუმც ზეცას ნელ-ნელ აკლდება
მზე, თბიერება და ნაპერწკალი -
თბილისი ისევ გაირაკლდება
და ნაგუბარში ჩადგება წყალი.“

(გრიშაშვილი, 2012:4-5)

ასეთი სიყვარული აუღერებდა პოეტის გულის ყველაზე სათუთი სიმებს და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი წარსულის ტკივილებში აძებნიებდა მრისხანების გრძნობას დამპყრობლების წინააღმდეგ მისამართავდ.

კრწანისის ბრძოლის სურათებს აცოცხლებს პოეტი კიდევ ერთ, 1942 წლის მძიმე დღეებში დაწერილ პატრიოტულ ლექსში „საიათნოვას ჭიანური“. პოეტს თავისი ლექსისათვის ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს მემატეანეს ცნობა იმის შესახებ, რომ „მეფე ირაკლის ლაშქრობის დროს საიათნოვა წინ მიუძღოდა მებრძოლთა რაზმს და თავისი ჭიანურით ამხნევებდა სამშობლოს მამაც დამცველებს“. გადმოცემის მიხედვით, საიათნოვა თავადაც დაღუბულა თბილისის დასაცავად ხმლით ხელში. სწორედ მემატეანის ისტორიული ცნობა გამოუყენებია პოეტს პატრიოტული გრძნობის გადმოსაცემად:

„მითქვამს, ვამბობ და ამაზეც სხვებსაც ვენაძლიე,
სხვა საკრავზე ჭიანური, რა ვქნა, მიყვარს ძლიერ.
ნაღველსა და ხადილობას ერთნაირად ლესავს!..
ო, ყურს ვუგდებ ალტაცებით ჭიანურის კვნესას.
მასში თითქოს გამოისმის გადასული ხანა:
ჩვენი ქვეყნის რაინდები კვლავ საომრად დგანან.

კვლავ უტევენ მოსეულებს ხმაღს მკვეთრსა და მხნესა.
ო, ყურს ვუგდებ ალტაცებით ჭიანურის კვნესას!
პოეტო და მეომარო! გიგონებ და გიმზერ!
შენ მღეროდი ჭიანურით საქართველოს გმირზე,
სამი რომ ვერ დაგეტია ჭიანურის ალყზე -
სამის ერთი ნაწიბური გადასჭიმე ხალხზე -
ხალხი სწნავდა შენს ჭიანურს ჭკვიანურად, მძიმედ,
გამარჯვების მოლოდინში არ ჰკარგავდა იმედს.
ასე იყო ირაკლის დროს, ასე არის დღესაც...
ყურს ვუგდებ ალტაცებით ჭიანურის კვნესას".

(გრიშაშვილი, 2012:86)

„უკეთესი ხე სხვა არაფერია, თუ არა ის რასაც ჩვენ განახლებას ვეძახით და რასაც პოეტი ასე შთაგონებულად უმღერის, ასე ლაკონურად გვიხატავს თავის შემოქმედებაში. მთელი ლექსი განსახიერებაა ხელოვნებაში იმ ხერხისა, რომელსაც პარალელურ სიმბოლიკას ვუნოდებ“ (ჯიბლაძე, 1955:311).

იოსებ გრიშაშვილის ნათელი მომავლის იმედიანი ხე კიდევ უფრო მეტად იფოთლება თბილისზე შექმნილ სხვა ლირიკულ ქმნილებებში. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ ლექსი „გრიგოლ ორბელიანი კომკავშირის ხეივანში“:

„ეს რა ხეა აქ დარგული,
ეს რა ქვები ალაგია,
ეს თბილისი - ქართლის გული -
გორგასლანის ქალაქია?
არც მურვან ყრუ, არც შახაბაზ
აღარ მოსჩანს განჯისკართან
და ყაფლანის ქართულ კაბას

გასცვეთია ყოშის კალთა.
აღარ მოსთქვამს ნიკოს მტკვარი,
არ აწუხებს ძველი ელდა,
სჩანს სამშობლოს სატკივარი
მოუშუშდა, გაუმრთელდა.
ვიზრდებით და ცეცხლად ვღვივით,
აღარ გვეყოფნის სიგრძე, განი,
რუსთაველის ბეჭებივით
ღვას თბილისის გალავანი.“

(გრიშაშვილი, 2012:61-62)

პოეტისთვის თბილისი სამშობლოს დედაბოძად მოიაზრება. იგი შემომედებითი სიტკბოს ჭაშნიკიცაა, სწორედ ამიტომ უგალობა იოსებ გრიშაშვილმა ამ ქალაქს ასეთი გატაცებით:

„ჩემო თბილისო, ჩემო ცაო, ჩემო კრიალა,
ჩამონათალო საქართველოს სილამაზისა,
შენ ხარ ნუგეში დაუცხრომელ ქართული მზისა,
გვეყო, რაც შევსვით პაპეული სიმწრის ფიალა.
ჩემო ქვეყანავ! ამ მთაწმინდას, ამ სიანკარეს,
ღუშმანის ცივ ხელს ნუ შეახებ, ნუ მიაკარებ,
იყოცხლოს, როგორც გმირ ქალაქის სახეს შეჰფერის.
ჩემი უბანი, სიხარულით ცერზე რომ დადგა,
ის არ მოჰკვდება, არ მოჰკვდება, ლამაზო, რადგან,
ღღეს საქართველოს დედაბოძი - თბილისი მღერის.“

(გრიშაშვილი, „სონეტი თბილისს“, 2012:171)

პოეტი დიდი წინაპრის - შოთას ნათელ სულს სთხოვს, შეაძლებინოს საკუთარი სიკვდილით „ერის გენის სამარადუამო“ უკვდავყოფა :

„ო, შოთა! შოთა! შენის აჩრდილით
მსურს შევექმნა ლოცვა უცხო და ამო:
მსურს მეც უკვდავყო ჩემის სიკვდილით
ერის გენია სამარადუამო;
რომ მეც ავწერო მამათ წარსული,
სიავ-სიკარგე წარსულთა დროთა,
რომ მეც შთაგებრო თამარის სული
ჩემს ქართულ მუზას, ო, შოთა! შოთა!“

(გრიშაშვილი, „ო, შოთა! შოთა!“ 2012:206-207)

ამრიგად, იოსებ გრიშაშვილი მთელ რიგ ლექსებში იკითხება საქართველოსა და მისი „გმირების დედაქალაქის“ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ესა თუ ის პერიოდი, მათ სიღრმეში კი მოსჩანს ქართველ მამულიშვილთა სულმნათი სახეები.

თავი V

იოსებ გრიშაშვილის პოეზიის

ლექსალური ორნამენტიკა

იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში საპატიო ადგილი ეთმობა ძველი თბილისის კოლორიტული სახის ჩვენებას. ძველმა თბილისმა მისი პოეზიის ლექსალური ორნამენტებში ისეთი გამოხატულება ჰპოვა, როგორც არც ერთი ქართველი პოეტის შემოქმედებაში არ უპოვია. მის ლექსებში ისმის აშუღური პოეზიის მოტივები,

გვხვდებოდა კინტო და ყარაჩოღელი. ამის ნათელი მაგალითია ლექსი „ტრიოლეტები შეითანბარში“:

„შეითანბარს რომ გასცდება თათრის ფოლორცი,
ტრიოლეტივით დავყიალობ გალმა-გამოღმა.
და, ვით აშოლლანს ეტმასნება ქალი ავხორცი
(შეითანბარს რომ გასცდება თათრის ფოლორცი),
არც მე მასვენებს საქართველოს დარდი და ბოღმა:
რად დასჭკნა სიტყვა თბილისისა, რისთვის ჩამოხმა,
სიტყვა - მზის ნაღმით ნარიყალის ნაშთზე ნატყორცი?
შეითანბარს რომ გასცდება თათრის ფოლორცი,
ტრიოლეტივით დავყიალობ გალმა-გამოღმა.
ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ამქარი,
ხელში დროშებით გადაჭდობილ-გადანამწკრივი,
უსტაბაშს შვენის მოფარფარე მზის ყალამქარი
(ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ამქარი),
და ჰგალობს ზურნა დილის საარს ჰანგღვთაებრივი.
დღეს კი ამოტყდა მეყვსეულად გრიგალი- ქარი
და სადღა არის ყარაჩოღელთ ლხინი თუ კრივი?..
ამ ქუჩაბანდში მე მინახავს ძველი ამქარი,
ხელში დროშებით გადაჭდობილ-გადანამწკრივი...“

(გრიშაშვილი, 2012: 269)

„როდესაც იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში ქალაქური პოეტური ფოლკლორის ზეგავლენაზე გვაქვს საუბარი, ამის დასტურად რამდენიმე არსებითი ნიშანი უნდა გამოიყოს, ესენია: ძველი თბილისის მკვიდრთა მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიზმების შემოტანა ლექსებში, ნაწარმოებებში თავისებური რიტმულ-

ინტონაციური მელოდიურობა, სპეციფიკური ვერსიფიკაციული სალექსო საზომების გამოყენება“ (ნიკოლეიშვილი, 2002:193).

აღმოსავლურ პოეზიასთან სიახლოვემ განაპირობა ის, რომ იოსებ გრიშაშვილის ლირიკაში ფართოდ შეიჭრა ყვავილთა კულტი და ვარდ-ბულბულიანობის პოეტური მოტივი. ბულბული, სოსანი, ია, ვარდი, ზამბახი, სუმბული - მისი ლექსების ხშირი სტუმრები არიან. ყვავილებისადმი ამგვარი, ფაქიზი დამოკიდებულება ბოლომდე გაჰყვა იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებას, როგორც სინაზისა და ემოციის ძირითადი ნიშნებია.

თბილისის ბუნებისა და კოლორიტის აღწერისას იოსებ გრიშაშვილი ხშირად მიმართავს უჩვეულო მხატვრულ შედარებებსა და ეპითეტებს:

„მინას მოუნდა ღრუბლების დაშლა.
მზე ძირს ჩამონვა ლანქერად, ზვავად.
მზემ ჰამლექტივით აილო დაშნა
ლამის მარშრუტის მოსახაზავად.
მაგრამ არ მწყალობს ბედი ფიცხელი,
მინა გამსკდარი, ცა მონალრუბლი,
და პოეზიაც თვალში მიცქერის,
როგორც ილიას დაჭრილი შუბლი.

(გრიშაშვილი, „თბილისის მინა“, 2012: 11)

იშვიათად, მაგრამ მაინც, პოეტი ქართული პოეზიის ტრადიციულ მეტაფორულ სახეს მიმართავს და სატრფოს ტანჯული სამშობლოს გააზრებით ტვირთავს:

„როცა გულის მძლე კაემანს
ვაცნობ ზესკნელს, მინას, მთას, ბარს,
რომ ჩანგური დაიქუხებს
და ბნელ ძალებს დასცემს თავზარს;

როცა, სატრფოვ, ტანჯულთ ცრემლი

~

ვარდს აესხმის მარგალიტად:

მაშინ მითხარ - „ქრისტე აღსდგა!“

მაშინ გეტყვი - „ჭეშმარიტად!“

(გრიშაშვილი, „მაშინ გეტყვი“, 2012:77)

გრიშაშვილის სიტყვა პირდაპირია და მას ძალიან იშვიათად ახლავს ფარული ქვეტექსტები. იქ, სადაც ჩნდება მეტაფორა, ჩნდება ისეთივე ძალით, როგორც გრიშაშვილის ლექსის სხვა რომელიმე მხატვრული აქსესუარი, ავიღოთ მაგალითი:

„როცა ლურსმულ წარწერებით

იჭედება ვარსკვლავეთი“..

ერთეულ შემთხვევებში გვხვდება გაპიროვნებაც, მაგალითად:

„მტკვარიც, მთელი დღის სვლით დაქანცული,

განვება ღამით მოსასვენებლად.“

იოსებ გრიშაშვილის რითმა ხან ქალივით ნაზია, ხან ვაჟივით ძარღვმაგარი, ხან მშვიდი და ხალისიანი, ხან კი მქუხარე და ცეცხლის მფრქვეველი. კოლორიტული და ღრმა ლირიზმით გამთბარი გრიშაშვილის მიმართვები „ცისკრის მხევალო!“, „ჩემო კრიალა“. ძლიერია გამეორების ექსპრესიულობა „ტრფობის კოცონზე ტრფობით დავწვავ ტრფობის ნაპერწკალს“. თამამი და ლამაზი ჰიპერბოლა „სუნთქვა და მაგ სუნთქვისაგან, თუ მიბრძანებ შენს მწერალს, ფსალმუნს დავწერ, ღვთის ფსალმუნს, საგალობელ სამღერალს!“

„იოსებ გრიშაშვილის ენა და სტილი თავისებურია - მდიდარი და მრავალფეროვანი. თვალსაჩინოა პოეტის დამსახურება ქალაქური ხალხური ლექსიკის შეკრებისა და დამუშავების საქმეში. იოსებ გრიშაშვილის ენა ქართული სიტყვის ოქროს საგანძურს ეკუთვნის“ (ალავიძე, 1981:101).

„პოეზიის ძველი აკვანი" - ძველი თბილისის ფოლკლორი - გრიშაშვილის ლექსებში საიათნოვას ძალით გამოჩნდა. პოეტმა თითქოს „ორივე ხელით" შესვა ამ „ჯადოსნური ლამაზი პოეზიის" წყარო და ეამაყებოდა, რომ მისი ძარღვებში ეს, „მადლიანი ნაკადი მჩქეფარებს". ის მართლაც იყო, როგორც გრიშაშვილი ამბობდა, ძველი თბილისის ფოლკლორის ანასხლეტი.

ირაკლი აბაშიძის შეფასებით, იოსებ გრიშაშვილმა, „ქართულ სიტყვაში აღმოაჩინა ახალი სილამაზე, გამოკვეთა და მორთო იგი ფერად სამკაულებში... მისი სიტყვა ხან სევდიანია. ხან მხიარული. ხან გულჩათხრობილი, ხან უდარდელი, ხან ტკბილი, ხან შხამიანია, ხან თვინიერი და სისპეტაკით თვალის მომჭრელი... ყოველ სტრიქონში, ყოველ სიტყვაში ქართული სურნელებაა... გრიშაშვილს უყვარს ასეთი დისონანსები: უნაზეს გრძნობათა გვერდით ბებუთი და სისხლი... იგი თბილისის პირნავარდნილი შვილია... გრიშაშვილი ძველი თბილისის რომანტიკოსია, ერეკლეს თბილისისა. “(აბაშიძე, 1913:4).

იოსებ გრიშაშვილს ახასიათებს თემისადმი დიდი სიყვარულით მიპყრობა. ეს მის ლექსებისათვის სავალდებულო კანონია, რომლის ძალაც თითოეულ მათგან გარკვეულ იერსა და მიმართულებას აძლევს. შესაძლო სწორედ ეს იყოს ერთ-ერთი მიზეზი იმ დიდი პოპულარობისა, რომელიც გრიშაშვილმა მკითხველთა ფართო მასის ყურადღება მოიპოვა. ამავდროულად იოსებ გრიშაშვილის პოეზიაში იგრძნობა პოეტური უშუალობა, გულწრფელობა და ფრაზის სიმსუბუქე, რასაც თავად პოეტის ღნიშნავს თავის ერთ-ერთ ლექსში:

„ჩემს სიცოცხლეში ზამბახზე მძიმე
არ წარმომითქვამს სიტყვა და ლექსი,
პეპელას ფრთებზე გამოვიძინე
მინანავებდა სიოს ალერსი.“

(გრიშაშვილი, „სამშობლოსადმი“, 2012:66)

პოეტს მიაჩნია, რომ სათქმელის უკეთ გადმოსაცემად არ არის აუცილებელი გრძელი ლექსების თქმა, ამისათვის პატარა ლირიკული ლექსები და რუბაიები ბევრად მოხდენილ ფორმებად მიაჩნია:

„განა ლექსის სიკარგე მის სიგრძეზე ჰკიდია?

ვამბობ: სჯობს „რუბაია“, მძაგს „დასტანი“, ღიღია.“

(გრიშაშვილი, „ლირიკის დასაცავად“, 2012:156)

საკუთარი ლექსის ტკბილხმოვანებას პოეტი ლაღო მესხიშვილის ტალანტსა და ადამიანობას უმადლის:

„და თუ რამ სუფევს ჩემში კეთილი

გრძნობის სიმართლე, რითმის გალობა,

სულ შენგანა მაქვს ამოკვეთილი

შენმა სიუხვემ დამაწყალობა“

(გრიშაშვილი, „ლაღო მესხიშვილი“, 2012:30)

ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლექსის ენობრივი მხარეს სპეციფიკურ უღერადობას სძენს ქალაქური უარგონიდან მოტანილი ფრაზეოლოგიზმების გამოყენება:

რა კარგია, კაკლის ხის ქვეს ვქეიფობდეთ, წვიმაც სცრიდეს,

მე გავიხდი, შენ ჩაგაცმევ, ბაკაკაჯან არ შეგცივდეს...

...და რომ მოვკდე, ყურბანოლუმ, გთხოვ მიყავი ეს სიკეთე,

შენ რომ გძინავს - იმ ტახტიდან ფიცრის კუბო გამოკეთე.

ეს ქამარი გამიკეთეთ და განაყიდ გროშებითა

წამასვენეთ გორხანებზედ ჩემი ამქრის ღროშებითა.

იქეიფეთ ზურნით, მაგრამ ცრემლი არვის ჩამოსცვივდეს

და მიმღერეთ ეს მასრაფი: „ბაკაკაჯან, არ შეგცივდეს!“

(გრიშაშვილი, 2012:256)

პოეტურ ფორმებს იოსებ გრიშაშვილი არამართო კარგად იცნობს, არამედ მოხდენილადაც იყენებს. იგი ხშირად მიმართავს სონეტს, ტრიოლეტს, რუბაიას. მას სრული უფლება აქვს თავის თავზე გაიმეორეს საიათნოვასადმი მიმართული სიტყვები: „სიმი რომ ვერ დაგეტია ჭიანურის ალყზე, სიმის ერთი ნაწიბური გადასჭიმე ხალხზე“.

იოსებ გრიშაშვილს „ძველ პოეტებში“ საიათნოვას გარდა, სხვაც ჰყავს „გულის მურაზი“. მას განსაკუთრებით მოსწონს „მაჯამის ამირბარი თეიმურაზი“ და დიდი შოთა რუსთაველი, რომლის სიტყვასაც „დარაჯობს მარად“.

პოეტისთვის მოკალმეობა ბუნებრივ პროცესად აღიქმება, იგი ნიჭის ერთგვარი რეალიზებაა, რაც მხოლოდ მაშინაა კეთილი ნაყოფის გამომღები, როცა სტრიქონებად იღვრება ქალაქის ფურცელზე:

„და გრიშაშვილიც ლექსს რომ არ წერდეს
რის მაქნისია იმისი ნიჭი!“

(გრიშაშვილი, „მთაწმინდა“, 20012:63)

ან კიდევ:

„დავწერ, კვლავ დავწერ! დავწერ სანამდე!...
გრძნობა ფრთასა შლის, სევდა დამსხივის!...
დავწერ ამ სისხლით კუბოს კარამდე,
დავწერ, სანამდე მელნის ზღვა ღვივის!
დავწერ, სნამდე ცეცხლმფრქვევი მეხით
არ გამიტყდება კალამი ჩვილი,
რომ იმ პაწია კალმის ნატეხით
მეც გამოვჭედო ბრძოლის მახვილი.“

(გრიშაშვილი, „მგოსნის აღსარება“, 20012:93)

იოსებ გრიშაშვილი ჭეშმარიტი პოეტია, მან იცო თავისი პოეტური სიტყვის ძალა, და სწამს რომ „ბედნიერების წმინდა აღქმა მხოლოდ ლექსია, რომ ყველაფერი წარმავალია, მხოლოდ ლექსია მარადიული“:

„რითმებისგან ლექსი დავწან, რითმად ლექსი გამოვჩარხე
და ოცნება უხილავი შიგ ჩავმარხე... შიგ ჩავმარხე...“

(გრიშაშვილი, „რითმებისგან ლექსი დავწან“, 2012:107)

ლექსის წერა როგორ სიძნელესთანაც არ უნდა იყოს დაკავშირებული ყოველდღიურ მოთხოვნილებად გადაქცევია პოეტს:

„მე პოეტი ვარ! მომისმინეთ: ჩანგის ერთი თმით
შევკრავ შევბოჭავ ქვეს კნელიდან ამომტყდარ ქარსა !
მე პოეტი ვარ ჩემი ლექსით და ჩემის რითმით
ზღვას დავამშვიდებ ზღვას მრისხანეს ზღვას ბობოქარს“

(გრიშაშვილი, „პოეტი“, 2012:152)

ილიას სტრიქონების „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის...“ თავისებური პერიფრაზია იოსებ გრიშაშვილის ლექსის („ლექსის შექმნის დროს“) შემდეგი ტაეპები:

„ლექსის შექმნის დროს მე წარმოვადგენ
ცის და მიწის ხიდს, ხიდს მძლავრს და მჭიდროს...“

(გრიშაშვილი, 2012:193)

„მღელვარებით იწერებოდა პოეტის შემოქმედებითი გზა და სავსებით ბუნებრივია, რომ გრიშაშვილის პოეზიაში ბედნიერად შეეთავსნენ აზრი და განცდა, შინაარსი და ფორმა, სიტყვა და გრძნობა. მისი ლექსები თავიდანვე გაიჭრნენ ხალხში სიმღერებად და ახალგაზრდას დიდი სახელი ძალიან მალე მოუპოვეს. პოპულარული სიმღერები: „ნარგიზი“, „ლერწამი ხარ“, „და ის, ვინც გაქებდა“, „ახლა, ნეტავ გული არ მქონებოდა“, „გიჟო, მიყვარხარ“, რომლებიც გრიშაშვილის ლექსალურ მასალაზეა დაწერილი, პოეტის სახელს სწრაფად უხვეჭდნენ მკითხველის ღრმა სიყვარულს. მისი

ლექსები: „რა კარგი ხარ, რა კარგი!“ „ყურთბალიში“, „გენაცვალე“, „ზღაპარი“, ჰამაკში“ „ციცინათელები თმებში“, „დამიბრუნდი, დამიბრუნდა“ - სიყვარულის ისეთი სიმღერებია, რომლებიც დამკვიდრდნენ, როგორც ლიტერატურაში ისე ხალხის ცნობიერებაში“ (ჯიბლაძე, 1961:16).

ბუნებრივი სინარჩარე და სიტუაქიზე პოეტმა თავის ლექსებში ისეთ სიმალღებე აიყვანა, რომ მკითხველს ოდნავადაც არ განაცდევინა სიტყვის სიმძიმე და განცდის უხეშობა. ამასვე მოწმობს ქართული ლექსის გამოჩენილი ოსტატის, გიორგი ლეონიძის, სიტყვები, რომ: „გრიშაშვილი თაქიში და დახვეწილი სტილის ლირიკოსიაო“ (ლეონიძე, 1955: 5).

საკმაოდ ცნობილი კრიტიკოსი ხომლელი (რომანოზ ფანცხავა), 1916 წელს აღნიშნავდა, რომ „ი. გრიშაშვილი, ჭეშმარიტი, ცოცხალი ტალანტის მგოსანია“. ჯანსაღი ოპტიმისტური მხარე, გრიშაშვილი ლექსების დახვეწილი ფორმა და ბუნებრივ ქართული მეტყველება ხომლელის ალტაცებას იწვევდა, აბედვინებდა წამოეყენებინა დებულება, რომ გრიშაშვილის სახით მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურას ჰყავდა უნიჭიერესი ძალა, დიდი იმედების აღმქმელი ახალგაზრდა პოეტი. ამიტომ წერდა ხომლელი ასე გატაცებით და დარწმუნებით: „ ტექნიკური მხარე იოსებ გრიშაშვილის ლირიკისა ისეთი კობტა და წარმტაცია, რომ ყველა კრიტიკოსი, თვით მისი პოეზიის მქირდავნიც, მგოსანს ვირტუოზს უწოდებენ. მართლაც, ი. გრიშაშვილის რითმა, რიტმი, მთლად სტილის შესანიშნავი და მომხიბვლელი აქვს და მან აქ სკოლაც შექმნა, თავისებური სიტყვით, ყოველი სიტყვა, თითოეული პოეტური გამოთქმა ი. გრიშაშვილისა სავსეა სიცოცხლით, გრაცით, გრძნობით და აზრით (ხომლელი, 1916:11).

მეოცე საუკუნის 10-იან წლების ქართული პოეზია მან გაამდიდრა მანამდე ნაკლებ გავრცელებული მეტრული სქემებითა და რიტმული ინტონაციებით („ია“ „

მიყვარდა", „ზამთარი“, „ჩემი მელოდია“, „გენაცვალე“...). გამრავალფეროვნდა და ახალ-ახალი მუსიკალური ინტონაციებით გაამდიდრდა მეტრული საზომები.

თავად იოსებ გრიშაშვილიც გრძნობდა თავისი რითმის უჩვეულობასა და ტკბილხმოვანებას, ამიტომ ამბობდა ასე დარწმუნებით: „სხვა პოეტებშიც ამღერდება, მწამს, ჩემი რითმა, - მას, ალბათ, საზღვრად უნდა ჰქონდეს ჩემი სამარე“ (გრიშაშვილი, „სონეტი“, 20012:268).

იოსებ გრიშაშვილს ახასიათებს საკუთარი შემოქმედებითი ღვანლის თვითკრიტიკული შეფასების ტენდენცია. იგი მოკრძალებულ შეფასებას აძლევს თავის ლირიკულ თხზულებებს და გულწრფელი დაეჭვებით კითხულობს:

წიგნებს თაროზე ვინ მოითავსებს? ვინ მომიგონებს ცრემლთა თქეშითა?
ჩემს შესანდობარს ვინ დალევს სავსე მამა-პაპეულ აზარტეშიდან?
ვის უნდა დარჩეს ამდენი ლექსი? ჩემი გოგონა ვისი იქნება?
აი, კითხვები უგულწრფელესი აი, რა მტანჯავს და მეფიქრება!

(გრიშაშვილი, 2012: 215)

საკუთარ პოეტური ნამოღვანევისადმი ასეთი კრიტიკულ მიდგომა იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებითი პასუხისმგებლობის მაჩვენებელია:

„განა, არ ვიცი, მოვკვდები, ჩემი მზეც დაინვერება,
ერთი პატარა წერილი ჩემზედაც დაინვერება...
თუ ჩემი ლექსის ჯავარი ერთს მაინც ემახსოვრება,
ვითყვი: უქმად არ გავლიე ჩემი პატარა ცხოვრება.“

(გრიშაშვილი, „ეპიტაფია“, 2012:140)

უამთა მდინარებამ ცხადყო, რომ აუხდა პოეტს ოცნება. ამის უტყარი დასტურია ის სიყვარული, რომელსაც ქართველი მკითხელი დღემდე იჩენს იოსებ გრიშაშვილის პოეზიისადმი.

თავი V

„ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“

იოსებ გრიშაშვილის მომეტებული სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი ემჩნევა არა მხოლოდ მის ლირიკულ ნამუშევრებს, არამედ მის სამეცნიერო გამოკვლევებსაც, რადგან, ბუნებრივია, უსიყვარულოდ არ შეიძლება ისეთი სურათების დახატვა, როგორსაც გვაძლევს იოსებ გრიშაშვილი თავის გამოკვლევებში - „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემასა“ და „საიათნოვაში“. მათში ცოცხლდებიან ძველი თბილისი, მისი ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულებანი. როდესაც კითხულობ, გგონია, რომ ყოველივე ამას ხედავ ცოცხლად, ნამდვილად, საკუთარი თვალით.

პოეტის წერილებიცა და გამოკვლევებიც მისი ლიტერატურული ღვაწლის ბუნებრივ ნაწილადაა ქცეული. მართებულია მკვლევარ ა. ნიკოლეიშვილის შეფასება იოსებ გრიშაშვილის მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ: „რამდენი მტვერნაყრილი ფაქტი გააცოცხლა, მან მათი მივიწყებული ცხოვრებიდან, რამდენი სხივუფინარი

ხელნაწერი და დოკუმენტი გამოამზეურა და შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში, რამდენი მინაცრული სახელი შემატა ერეოვნული კულტურის ისტორიას! ამ მხრივაც მისი ღვაწლი განუზომლად დიდიადა ხაზგასმით აღსანიშნავი... ვკითხულობთ მწერლის სტატიებს და არ შეიძლება არ გადმოგვედოს ის გატაცებული სიყვარული, რითაც ეს წერილები იწერებოდა, ამ უჩინარ ადამიანთა ცხოვრებისეული ბედ-იღბალი იოსებ გრიშაშვილის ისევე საინტრესო და ძვირფასი იყო, როგორც მხატვრული სიტყვის მეუფეთა ღვაწლი... ეს თვისება თავდადებულ გატაცება მეცნიერული კვლევა ძიებით მისი შემოქმედებითი ბუნების ისეთი განმსაზღვრელი ნიშანი იყო, როგორც პოეტური შთაგონება. ვინ იცის ამ მიმართულებით დახარჯულმა ენერგიამ რამდენი დაუწერელი პოეტური სტრიქონი შეინირა“ (ნიკოლეიშვილი, 2002: 197).

აი, როგორ ახასიათებს 1931 წელს დაწერილ ერთ ლექსში თავად პოეტი ფილოლოგიური კვლევა-ძიებით მის გატაცებას:

„ძმაო პოეტო! ეს წერილი ლექსი არ არის,
შენც კარგად იცი, ლექსებისთვის არა მცალიან:
მე ჩავიძირე ძველმანების სქელ ნიუარებში,
სადაც ძვირფასი მარგალიტის მადანი ბუდობს
და მარტოოდენ საქართველოს წარსულით ვსუნთქავთ.
უნდა დღე და ღამ ჩაჰკირკიტო ძველისძველ წიგნებს,
რომ დაიჭირო შენი გმირის უცხო თარიღი.
ესეც თრობაა! რომ იცოდე რა საამოა,
როცა შეხვდები უცნობ ფრაზას, ნანატრ ოცნებას,
როცა ფიქრობ, რომ ეს ეტრატი არვის უნახავს...“

(გრიშაშვილი, „წერილი ძმასთან“, 2012: 32-33)

ასე თანდათანობით გაღვივდა და გამოიკვეთა პოეტის განსაკუთრებული სიყვარული ძველი ხელნაწერებისა და წიგნებისადმი, თუმცა არქივებში საათობით გატარებული დღეების შემდეგ მსუბუქი ლექსებით თრობაც ენატრებოდა:

„რად ავიხირე არქივი
სულის და გილის მდაღველი,
ან რადა ვშრომობ ამდენსა,
განა ცოტა მაქვს ნაღველი?
რად ვეჭიდები ამ გურჯებს, -
ამ ცხრათავიან დევებსა, -
ერთ კარგ რითმაში არ გავცვლი
მე ამდენ გამოკვლევებსა!“

(გრიშაშვილი, „აპრილი თბილისში“, 2012:24)

ამიტომაც აღვილი წარმოსადგენია, სანამდე მივიდოდა მისი აღშფოთება და გულისტკივილი, როცა ხედავდა, ბაზრებსა და სავაჭროებში შესაფუთ ქალაღღებად, როგორ უღმრთოდ ნადგურდებოდა ეროვნული საგანძურის დიდი ნაწილი. სწორედ ამ გულისტკივილით იწერება აღშფოთების გამომხატველი ლექსში „გენიოსების ბედი თბილისის ბაზარზე“. ტრაგიკული ირონიით განმსჭვალული ტონით გვამცნობს ავტორი ამდაგვარი მკრეხელობის ამბავს:

„ქვევით, ბაზარზე, კვირადლით, ვანქთან,
მტვრიან ქუჩებში, დამპალ ჰავაზე,
წონით ვიყიდე ექსუსი გირვანქა:
შოთა, აკაკი და ჭავჭავაძე.
და გავიფიქრე: ვინ არის ნეტა,
ამის პატრონი ან გამყიდველი,
რომ პარკებისთვის გამოიმეტა

დავით რექტორის ნაწერი ძველი?!
აი, სად ყრია ჩვენი დიდება!
ლამის სირცხვილით ამეწვას ლოყა!
აი, ქართლის ხმა სად იყიდება,
ჯავახიშვილო და ინგოროყვა!!
მე დავდიოდი, როგორც შამილი,
მერმისის ფიქრი კვალდაკვალ მსდევდა -
და იზრდებოდა გულში შხამივით
ბესიკის ბაღში გაზრდილი სევდა.“

(გრიშაშვილი, 2012:18-19)

„ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ გამოქვეყნებისთანავე საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა და მასზე არაერთი გამოხმაურება დაიბეჭდა. ამ ნაშრომის ფაქტობრივი სიმდიდრით აღტაცებული კ. კეკელიძე წერდა: „არის შემთხვევა, მართალია იშვიათი, რომ წაიკითხავ წიგნს და მის შესატყვისებად სხვა სიტყვას ვერ ჰპოულობ გარდა მოკლე ფრაზისა - „ძალიან კარგი“. ეს უნდა ვთქვა პირადად მე ი. გრიშაშვილის დასახელებული მონოგრაფიის გამო. რადგან ძველი თბილისი ახალი ცხოვრების გამო თვალსა და ხელს შუა ქრება, პოეტს დროულად შეუქმნია ეს გამოკვლევა, რათა დავინწყებას არ მიეცეს ეს მართლაც საინტერესო სამყარო“ (კეკელიძე, 1928:133). აქ მეცნიერული ობიექტურობითაა შეფასებული ამ ნაშრომის ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა.

იოსებ გრიშაშვილმა მკითხველის თვალწინ გადაშალა ძველი თბილისის ლიტერატურული სამყაროს ნაირფერი ქსოვილი. ეს სამყარო აღმოსავლურ ხალიჩას გავს, რომლის ფერთა ელვარება ერთ მთლიანობაში მოქცეული და ურთიერთშეხამებული რაღაც განუმეორებელ სილამაზეს ჰქმნიდა. ასეთი იყო ძველი თბილისის მკვიდრთა ეთნიკური შედგენილობა. მეზობლური სიამტკბილობით

ცხოვრობდნენ აქ აღმოსავლეთის ერთა შვილები და მათი ეს ერთიანი ყოფა ძველი თბილისის განსაკუთრებულ კოლორიტს აძლევდა (არველაძე, 1987:116-117).

„ქალაქის მოსახლეობა მუდამ ჭრელი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ყოველთვის თავისი ერთ მეტყველებდა: ეს იყო ქალაქური ენა... თბილისმა ფრთხილად მოანარუქა სხვადასხვა ერის წახნაგოვანი სიტყვები და მისცა თავისებური ეშხი და მზეოსნობა“ (გრიშაშვილი, 1918:132).

ძველი თბილისის მოსახლეობის ინტერნაციონალური ხასიათის გამოუმუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქალაქის ლიტერატურული ბოჰემის წარმომადგენლებმა, რომელნიც ხალხთა მეგობრობის გულწრფელი ტრუბადურები იყვნენ. ისინი, განურჩევლად ეროვნებისა, სულ ცოტა ორ ენაზე მაინც ქმნიდნენ ლექსებს და ერთ-ერთი აუცილებლად ქართული იყო. ქალაქ თბილისის ერთ-ერთი ამგვარი ტრუბადური იყო ეთიმ-გურჯი (დაბლიშვილი), რომლის პოეზიაც თავის მონოგრაფიაში იოსებ გრიშაშვილმა ვრცლად განიხილა. აღსანიშნავია, რომ გრიშაშვილი პირველი იყო, ვინც ამ საინტერესო პოეტ-ტრუბადურის შემოქმედების სხვადასხვა მოტივისა და ბიოგრაფიის კვლევა დაიწყო.

მკვლევარ ბონდო არველაძის შეფასებით, „ი. გრიშაშვილმა ამ თვართო მოცულობის გამოკვლევაში მდიდარი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ძველი თბილისის მომღერლები დავიწყების ღირსნი არ არიან, რადგან ისინი თავისი ღრვის შვილები იყვნენ და თავიანთი პოეტური შესაძლებლობებით ეხმაურებოდნენ ეპოქის მოვლენებს“ (არველაძე, 1987:128).

„ტფილისი პოეტებისთვის მომხიბლავი თემაა. მაგრამ თემის დასახვეწად მარტო სათაური ხომ არ კმარა! ტფილისის შესაქებად საჭიროა მახვილი ინტუიცია კრიტიკის დოსტაქრული სკალპელი, რომ პოეტმა „ჩვენი მხარე“ სწორი ფერებით შეანაზუქოს“, - ამბობდა სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, მწერალი იოსებ გრიშაშვილი

თავის გამოკვლევაში „„ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა““(გრიშაშვილი, 2012:4).

თბილისი მსოფლიოს უძველეს ქალაქთა რიცხვს განეკუთვნება. IV საუკუნის რომაელი გეოგრაფის, კასტორიუსის, მიერ შედგენილ მსოფლიო საგზაო რუკაზე დატანილ დასახლებულ პუნქტებსა და ქალაქებს შორის, არმაზის ციხის სიახლოვეს, აღნიშნულია სადგური philado (ფილადო), რაც ტფილიდას დამახინჯებული ფორმაა. ეს პუნქტი მდებარეობითაც და სახელწოდებითაც სწორედ თბილისი უნდა იყოს. ამ რუკის დანიშნულება იყო მოგზაურებისთვის და ვაჭრებისთვის გზათა მიმართულების ჩვენება, გზის მიცემა().

სახელწოდება „ტბილისი“ პირველად „ქართლის ცხოვრებაში“ ქართლის პირველი მეფის - ფარნავაზის შესახებ თხრობისას გვხვდება (ძვ. წ. III ს.) „და ივლტოდეს ირემნი ღირღალთა შინა ტფილისისათა...“ „ტფილისიდან“ გავრცელდა ქალაქის სახელწოდებებიც: ბერძნები მას „ტიფლისს“ უწოდებდნენ, არაბულ-სპარსულ-თურქულ წყაროებში გვხვდება - „თიფილ“. რაც შეეხება დღევანდელ გეოგრაფიულ ფორმას „თბილისი“, პირველად მოხსენებულია XVII საუკუნის პოემაში - „შაჰნავაზიანი“: „შუიღს დღეს თბილისის შემოვიდა ისპანით წამოსრული“().

V საუკუნისთვის საქართველოში ქალაქებს შორის ლიდერობდა მცხეთა. ის ქართლის მეფეთა სატახტო ქალაქი იყო და საამისოდ ხელსაყრელი ადგილმდებარეობაც ჰქონდა. მცხეთაზე გადიოდა სავაჭრო სატრანზიტო გზა, აქ იყო საეკლესიო ცენტრიც. მაგრამ ძველი სატახტო ქალაქი ნელ-ნელა თმობდა პოზიციებს. „მცხეთაი ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალაი განდიდდებოდა“. საბოლოოდ მცხეთამ მეტოქეობას ვერ გაუძლო და დედაქალაქი გახდა თბილისი (გორდელაძე,).

ძველი თბილისის ნათლი ხატება, რომელსაც იოსებ გრიშაშვილი თავის გამოკვლევაში - „„ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა““ - გვიშლის იმდენად

შთამბეჭდავია, რომ რწმუნდები, მას ისე ზუსტად ვერ დახატავდა ვერც ერთი მხატვარი და კინემატოგრაფი თბილისის ძველ კოლორიტს, როგორც ამას გრიშაშვილი ახერხებს: „თუ მამადავითის მთაზე ახვალთ და გადახედავთ ტფილისს, ნარიყალის ციხის კალთების გასწვრივ თქვენ თვალწინ გადაიშლება ჩვენი დედაქალაქის ის ნაწილი, რომელსაც ძველი თბილისი ეწოდება. ნახევრად დანგრეული კედლები ნამადგარი ციხისა და მთის მაღლობიდან ქვევით ეშვება, მაგრამ შუა გზაზე სწყდება. თუ ამ ნანგრევებს გონების თვალთ გააგრძელებთ, ხაზი დაეშვება მტკვრისაკენ და გავა მეტეხის ციხის პირდაპირ. ძველი სემინარიის გვერდით დაქანებული ნარიყალას დუღაბიც მტკვარში ჩადიოდა (გრიშაშვილი, 2012:7).

მისი ნარკვევიდან გამოსჭვავის სიყვარულით ნასაზრდოები დამოკიდებულება თბილისის მიმართ: „ბავშვობიდანვე მიყვარდა იგი. მზიური ნისლით დაბურული ნარიყალის ციხის ისტორიული ნაშთი ღრმა საიდუმლოებისავით იყო ჩემ წინაშე ამართული. ჩემი პოეტური ფანტაზია და ოცნების წმინდა სიხარული მხოლოდ ლექსის ლერწმებში დავაპატიმრე“ (გრიშაშვილი, 2012:5).

„ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ინფორმაციულად ტევადი გამოკვლევაა. „ზღვა თავის გულში იგროვებს და ისრუტავს არა მარტო დიდ მდინარეებს, არამედ პატარა ნაკადულებსაც. ყოველი მდინარის გაცნობა სათავედან იწყება. ეს სათავე ხშირად სადღაცაა მიგდებული, ყოველთვის საძებნელი ხდება. ერთი ამგვარი ესთეტიური მოგზაურობა მეც გავბედე. მინდა თვალწინ გადაგიშალოთ უცნობი კუთხე და დავინწყებული სათავე იმ თვალჭრელი ნაკადულისა, რომელსაც „ქალაქური ხალხური პოეზია“ დავარქვით და რომელიც შეუმჩნევლად იფარება აკადემიური მწერლობის მღელვარე ტალღებში“ (გრიშაშვილი, 2012:6).

ძველი თბილისისთვის დამახასიათებელია ვაჭრობა-ხელოსნობა. თბილისური ყოფის კოლორიტს ქმნის ყარაჩოღელი და კინტო. ყარაჩოღელი ტფილისის ძველი თაობაა, ყარაჩოღელი იმდროინდელი მოქალაქეა, როცა „ქართლის ცხოვრების“

სიტყვით „ქალაქი ტფილისი ჯერო არაა სრულიად შემოყვანებულ იყო უღელსა ქვეშე მორჩილებისას“, ყარაჩოღელი სინთეზია ქართულ-სპარსულ ურთიერთობებისა და საზოგადოდ აღმოსავლეთის ხალხთა ჩვენში ყონალობისა... კინტო კი შექმნილი შორეული ბაზრის წიაღში, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო. იგი ნალეკია ყარაჩოღელთან ოჯახისა, გაზრდილი ქუჩებსა და სამორინეებში. კინტო, როგორც ცუღლუტი, მცირე უნარისა და მცირე მოთხოვნილებების პატრონია, რომელიც კმაყოფილდება ორ-გროშიანი მოგებით, რომელსაც დიდხანს ჯიბეში არც კი იჩერებს: ან იმ დღესვე ფლანგავს მიკიტნის დახლოთან, ან ყომარბაზებში აგებს“ (გრიშაშვილი, 2012:14-15).

ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი სარიტუალო სახის გართობა როგორცაა: ყვენობა, კრივი, ამქრობა. „ამქრობა ბოჰემის ერთი იმ ნატეხთაგანია, ურომლისოდაც ძველი თბილისის დარღვეული სახე ვერ აკონინდება“.

საინტერესო და ლეგენდარული ისტორიას ითვლის ე.წ ქალის მზითევი, რომელიც განხვავებულ და თითქმის დამახინჯებულ ადათს ატარებდა მხოლოდ და მხოლოდ, ჩვენს მხარეში, თბილისში, განსაკუთრებით, ამ ყველაფრით გათამამებული საქორწილო ვაჟები დიდ ყურადღებას ქრთამზე ამახვილებდნენ და არა ქალზე, თბილისის ქუჩებში ასეთი საამიკო ხალხური პოეზიის შედეგრი დადიოდა:

„წყალში თევზი დაცურავს
ბოლოს იქნევს თავს-არა
ეხლანდელი ვაჟები
ქრთამს ეძებენ, ქალს - არა.“

(გრიშაშვილი, 2012:55)

აბანო, აშურები დღეობები, ყარაგიობას თეატრი, ამ ქალაქის მაჯისცემის ქმნიდა. გარდა ამისა, არ შეიძლება არ აღინიშნოს ძველი თბილისი ბიბლიოთეკა. ცხადია, მხოლოდ ყარაგიობას თეატრი და ყავახანა ვერ დააკმაყოფილებს ხალხის გონებრივ

მოთხოვნილებებს, ხალხში გაიღვიძა „წიგნის ცოდნის“ სურვილმა. ტფილისის ძველი თაობა მხოლოდ ხელნაწერებს კითხულობდა. საზოგადოების დაბალ ფენებში ხშირად იჩენდა ისეთი სალალობო ლექსები როგორც იყო „ყარამანიანი“, „ქალვაჟიანი“ „ეთერიანი“ და მისთანა ლექსები.

ძველი ტფილისი ჰაზირას მასპინძელიც გახდა და ისე კარგად შეითვისა საიტნოვა და იეთიმ-გურჯი, თითქმის შეესისხლხორცა. ჰაზირას ხმას ბოლო დროს ხინჯი შეეპარა, მაგრამ მისი სტრიქონები ყოველთვის გულწრფელი და აზრიანი იყო: „რას მარგებს მომღერალის მალლა ყვირილი, თუ სიტყვები არ არის აზრიანი“ (გრიშაშვილი, 2012:64).

XVIII საუკუნეში დავით გურამიშვილმა და XIX საუკუნეში აკაკი წერეთელმა შემოიტანეს და განამტკიცეს ხალხური კილო, ხოლო ტფილისის დაბალ ფენებში ჰაზირას შემოქმედება ქალაქური ხალხური პოეზიის ფორმისა და შინაარსის გამომსახველად იქცა. ჰაზირას საყავრელი საკრავი დაირა იყო. იგი თავისი სულის კაეშანს ამ ინსტრუმენტის აკომპანიმენტს აქსოვდა. ჰაზირა თავისი მონოდებით ნამდვილი ბოჰემა იყო, იგი ზეპირად იგონებდა თავის ლექსებს და თუ ქალაქდზე გადაიტანდა, თავის დაწერილს თვითონაც ვერა კითხულობდა, ერთხელ მითხრა: „ჩემს ყოველივე ხელთნაწერს მე თვითონ თან უნდა გავყვეო“ (გრიშაშვილი, 2012:64). მართლია, ჰაზირას აშული ეწოდა, მაგრამ ის არ ყოფილა აშიკი, სატრფიალო ლექსების მოტრფიალე:

„კარგი იყავ ნუ ხარ ავი, სულონჯან,
გენაცვალოს ჩემი თავი სულონჯან,
ჩემთან იყო შენ ნეტავი სულონჯან
გამიწითლე დღენი შავი, სულონჯან.
გვედრები და მე გეთაყვანები,
კარგს მიმართე, ბოროტს ნუ ეტანები,
თავიდან მოიშორე, შადიმანები

გიყვარდეს დიდი მოურავი, სულონჯან.

ჰაზირ, კაი აზრები აირჩიე,

შენს მეგობარს, ზმას მეზობელს მისდიე

სხვაგან ძვირფასი სასახლე ირჩიე

საქართველოში სათლავი სულოჯან.

(გრიშაშვილი, 2012:64)

ჰაზირას უყვარდა აკაკი წერეთელი. „სულიკო“ პირველად ჰაზირამ მოჰფინა საქართველოს დაბა-სოფლებში. ჰაზირა აკაკის სასიმღერო მუხამბაზების შესახებ შემდეგ სწერს: „აკაკისა და სიათნოვას ერთგვარად უყვარდა ხალხი, ორივენი ხალხის მონა და მსახურნი იყვნენ, როცა აკაკი წერეთელი გამოჩნდა, იმ ხანებში აშულობა უკვე იღვენებოდა და ძველი უთმობდა ადგილს ახლსა, მგოსნის დიდი ტალანტი დულდა და გადმოდულდა, როგორც ამოჩუხჩუხებული წყარო უშრეტი, აკაკიმ ყურადღება მიაქცია ძველ ხმებს და დაიწყო წერა, გამოსჭრა, შეკრა და დაზგაზგედ დაიწყო აუარებელი ძვირფასი ნივთები, მაგრამ საუბედუროდ ვაჭარი არსად სჩანდა“ და აი, ასეთი ვაჭრები აშულები იყვნენ, რომლებმაც ჰაზირას მეთაურობით ამ ნივთებს „მუშტრები“ მოუნახეს, ჰანგები შეუწყვეს და ხალხში გაავრცელეს დიდი პოეტების პოეზიის ნიმუშებიც (გრიშაშვილი, 2012:67).

ამრიგად, იოსებ გრიშაშვილის ნარკვევი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“ მეცნიერული თვალსაზრისით ძალიან საინტერესო ნაშრომია. მკვლევარმა ნათლად ტკბილქართულითა და მზეფართულით გააცოცხლა ძველი თბილისის გულისცემა და შემოიტან ყველა ენერგია, რომელიც თბილისური ბოჰემის თანამდევნი და მამოძრავებელი ძალა იყო. იოსებ გრიშაშვილი თავის გამოკვლევას თბილისისადმი საალერსოდ დაწერილი სიტყვებით ასრულებს, რომელიც ამ ქალაქისადმი მისი დამოკიდებულების ერთგვარი შეჯამებაა, ამიტომ ჩემი სამაგისტრო თემაც სწორედ ასე მინდა დავასრულო:

„მე ტფილისი მიყვარს...

მიყვარს ეს პოეზიის ძველი აკვანი, ეს დარდიმანდული ბოჰემა, ეს საქართველოს მთრთოლვარე გული, ეს... დასაწყისი და დასასრული ჩემი ობოლი არსებობისა.

დასკვნა

საქართველოს სახალხო პოეტმა, აკადემიკოსმა, იოსებ გრიშაშვილმა დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. მოღვაწეობის 60 წლის მანძილზე მან მრავალი ლექსი, მოთხრობა, პიესა, თარგმანი, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი, მონოგრაფია, თეატრალური გამოკვლევა, რეცენზია და კორესპოდენცია გამოაქვეყნა, თუმცა მისი შესაძლებლობანი მთელი ძალით, უპირველეს ყოვლისა, ლირიკაში ვლინდება. პოეტის შთაგონების მთავარი დასაყრდენი თაქიზი ემოციებით აღბეჭდილი განწყობილებებია.

გრიშაშვილის ლექსების ბუნებრივ მდინარებაში გვხიბლავს ჭეშმარიტი პოეტური ნიჭის სილამაზე, სილალე, უშუალობა, რითიც იპყრობს მხატვრული შემოქმედების მწვერვალებს. მას, როგორც ჭეშმარიტ შემოქმედს, გათავისებული აქვს, რომ პოეტის ძირითადი ამოცანაა მთელი მხატვრული ძალით უმღეროს საქართველოსა და მის დედაქალაქს, სწორედ ამიტომ იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაზე დანერჩილ ნაშრომებში ხაზგასმულადაა წინა პლანზე წამოწეული, პოეტის განსაკუთრებული სიყვარული თბილისისადმი.

თბილისის თემა 1917 წელის რევოლუციის შემდეგ, იკვეთება გრიშაშვილის პოეზიაში. 1917-1920 წლებში დანერჩილი მისი ლექსების „ისანი“, „თათრის ქალი სუბსარქისში“, „ტრიოლეტები შეითან ბაზარში“, „მეფე ვახტანგი“, „აშჰაშხანისკენ“,

ქორწილი ჩვენ უბანში" და სხვა. თავისი შინაგანი სულით ენათესავენა შესანიშნავ მონოგრაფიას საიათნოვაზე (1918) და ამ გამოკვლევის ერთგვარი გაგრძელებაც - „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა"(1927).

ყველა დიდი შემოქმედის დარად, იოსებ გრიშაშვილი სულით ხორცამდე ეროვნული პოეტია. მის ლირიკას ასაზრდოებს მამულზე ფიქრი, ხოლო მის გრძნობებს კვებავს სამშობლოს სიყვარული. როგორც გულანთებულ მამულიშვილს შეეფერება, ისიც მზად არის სიცოცხლე დათმოს სამშობლოს საკეთილდღეოდ და ამასვე მოითხოვს სხვისგან.

იოსებ გრიშაშვილმა გატაცებით უმღერა თბილისს, მის ნარიყალას, ისანს, სუბსარქისასა და აშპაშხანს, ორთაჭალასა და ხარფუხს, ყაბახსა და კოჯორს, თბილისის ყოველ ფოლორცსა და შუკას, წელგამწყდარ ქუჩებსა და მერცხლის ბუდესავით მიკრულ სახლებს, ყოველ კენჭს და ფურცელს, ქუჩაბანდებსა და ნანგრევებს. აკი თავადაც ამბობს პოეტი: „ვაქებ თბილისს, სალაყბოს, ყაბახს და მხიბლავს ნუში, აშპაშხანა, ყურძნის მტევანი...“

იოსებ გრიშაშვილისათვის თბილისი მარტოოდონ ქალაქი კი არ არის, იგი მისი მშობელია, მასწავლებელია, ამიტომ ამბობს ასე თამამდ ლექსში „თბილისი იყო ჩემი ლექსის მასწავლებელი“: „პოეზიაში მე თბილისის მინით მოვდივარ - სიტყვის წკრიალით, რითმის ჩაბუქვით“ (გრიშაშვილი, 2012:155). სწორედ თბილისს აღუზრდია იგი „სულითა და ხორცით“, მას უკავშირდება პოეტის ყველაზე ტკბილი მოგონებებიც.

გრიშაშვილის თბილისზე დაწერილი ლექსები მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის კოლორიტით სუნთქავს. ყარაჩოღელი და ჰამქერი, კრივი და ჭიდაობა. დუდუკი და ჭიანური, ტკბილი ბაიათი და უტკბეს სატრფოსთან გამოსაუბრება. პოეტი გულისტკივილით შენიშნავს, რომ გრ. ორბელიანის ლოპიანებისა და ბეჟანა მკერვალების სამყარო მოისპო.

ძველ თბილისთან პოეტის გამოთხოვება მკაცრი რეალობითა და აუცილებლობით განპირობებული იძულებითი ნაბიჯია. ლექსი „გამოთხოვება ძველ თბილისთან, ანუ დუდუკის საარი ქარს აღარ მოაქვს“ პოეტური გამოგლოვებაა ძველი თბილისის ტრადიციების. „ნაწარმოების სიუჟეტურ დრამატიზმს ორი დიამეტრულად დაპირისპირებული მხარე განსაზღვრავს, წარსულის გაქრობით გაჩენილი უსაზღვრო სევდა და ის ახალი სინამდვილე, რასაც ამ სამუდამოდ გამქრალი, რომანტიკის ადგილი დაიჭერია... პოეტი ფანატიკური მონივნებით იხსენებს წარსული დროების სათუთ სურათებს და ერთბაშად ხსნის ფარდას იმ საიდუმლოს რაც მას ასე თავდავინწყებით იზიდავს ამ სიძველეში. გარდასულ ჟამთა სიღრმიდან ამოზიდულ ამ ნაღვლიან აღსარებას სიმძაფრეს სძენს კოლორიტული შთამბეჭდაობით გამოძენილი შტრიხები უძველესი ყოფისა“ (ნიკოლეიშვილი, 2002:196).

ეს ურთიერთდაპირისპირება პოეტში აჩენს ნოსტალგიას გარდასულ დროთა, რაც გამოიხატა 1920 წელს დაიწერილ ლექსშიც - „აშპაშხანისკენ“. აშპაშხანისკენ, კლდის ქიმიდან ჯავრით მზირალ ნარიყალასთან, გზაღმავლილი პოეტის გულში ერთამნეთს უპირისპირდება გარდასული ცხოვრების რომანტიკა და გაუკუღმართოებული სინამდვილე.

თბილისზე შექმნილ არაერთ ლექსში იკითხება ტკივილიანი ისტორია, ათასი მტარვალის სურვილი, ხელთ ეგდო საქართველოს დედაქალაქი. იოსებ გრიშაშვილის არაერთ ლექსში თბილისი ორგანულად უკავშირდება ერეკლეს სახელს. ამის ერთ-ერთი ნათელი მაგალითია ლექსი „ტრიოლეტები შეითანბარში“.

ლექსში „მოლა მინარეთზე“ პოეტი ცრემლნარევი სიმართლით გვიხატავს აღამაჰმად-ხანის საბედისწერო შემოსევის ავბედით ეპიზოდს. წინაპართა მიერ დაღვრილი სისხლი პოეტს ავალდებულებს, „ბილისში როს იხილო მტრების შემოსვლა - იბრძოლე აბჯრის გაცვეთამდე ბებუთით ხელში“.

კრწანისის ბრძოლის სურათებს აცოცხლებს პოეტი კიდევ ერთ, 1942 წლის მძიმე დღეებში დაწერილ პატრიოტულ ლექსში „საიათნოვას ჭიანური“. პოეტს თავისი ლექსისათვის ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს მემატეანეს ცნობა იმის შესახებ, რომ „მეფე ირაკლის ლაშქრობის დროს საიათნოვა წინ მიუძღოდა მებრძოლთა რაზმს და თავისი ჭიანურით ამხნევებდა სამშობლოს მამაც დამცველებს“. გადმოცემის მიხედვით, საიათნოვა თავადაც დაღუბულა თბილისის დასაცავად ხმლით ხელში. სწორედ მემატეანის ისტორიული ცნობა გამოუყენებია პოეტს პატრიოტული გრძნობის გადმოსაცემად.

პოეტისთვის თბილისი სამშობლოს დედაბოძად მოიაზრება. იგი შემომედებითი სიტკბოს ჭაშნიკიცაა, სწორედ ამიტომ უგალობა იოსებ გრიშაშვილმა ამ ქალაქს ასეთი გატაცებით. იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაში საპატიო ადგილი ეთმობა ძველი თბილისის კოლორიტული სახის ჩვენებას. ძველმა თბილისმა მისი პოეზიის ლექსალური ორნამენტებში ისეთი გამოხატულება პოვა, როგორც არც ერთი ქართველი პოეტის შემოქმედებაში არ უპოვია. მის ლექსებში ისმის აშუღური პოეზიის მოტივები, გვხვდებოდა კინტო და ყარაჩოღელი. ამის ნათელი მაგალითია ლექსი „ტრიოლეტები შეითანბარში“.

„პოეზიის ძველი აკვანი“ - ძველი თბილისის ფოლკლორი - გრიშაშვილის ლექსებში საიათნოვას ძალით გამოჩნდა. პოეტმა თითქოს „ორივე ხელით“ შესვა ამ „ჯადოსნური ლამაზი პოეზიის“ წყარო და ეამაყებოდა, რომ მისი ძარღვებში ეს, „მადლიანი ნაკადი მჩქეფარებს“. ის მართლაც იყო, როგორც გრიშაშვილი ამბობდა, ძველი თბილისის ფოლკლორის ანასხლექტი. პოეტს მიაჩნია, რომ სათქმელის უკეთ გადმოსაცემად არ არის აუცილებელი გრძელი ლექსების თქმა, ამისათვის პატარა ლირიკული ლექსები და რუბაიები ბევრად მოხდენილ ფორმებად მიაჩნია. ბუნებრივი სინარჩარე და სიფაქიზე პოეტმა თავის ლექსებში ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომ მკითხველს ოდნავადაც არ განაცდევინა სიტყვის სიმძიმე და განცდის უხეშობა. მეოცე

საუკუნის 10-იან წლების ქართული პოეზია მან გაამდიდრა მანამდე ნაკლებ გავრცელებული მეტრული სქემებითა და რიტმული ინტონაციებით.

იოსებ გრიშაშვილის მომეტებული სიყვარული მშობლიური ქალაქისადმი ემჩნევა არა მხოლოდ მის ლირიკულ ნამუშევრებს, არამედ მის სამეცნიერო გამოკვლევებსაც, რადგან, ბუნებრივია, უსიყვარულოდ არ შეიძლება ისეთი სურათების დახატვა, როგორსაც გვაძლევს იოსებ გრიშაშვილი თავის გამოკვლევებში - „ძველი თბილისის ლიტერატურულ ბოჰემასა“ და „საიათნოვაში“. მათში ცოცხლდებიან ძველი თბილისი, მისი ცხოვრება, მისი ზნე-ჩვეულებანი. როდესაც კითხულობ, გგონია, რომ ყოველივე ამას ხედავ ცოცხლად, ნამდვილად, საკუთარი თვალით. მკვლევარმა ნათლად ტკბილქართულითა და მზექართულით გააცოცხლა ძველი თბილისის გულისცემა და შემოიტან ყველა ენერგია, რომელიც თბილისური ბოჰემის თანამდევნი და მამოძრავებელი ძალა იყო.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. აბაშიძე ა., იოსებ გრიშაშვილის „საიათნოვა“,
2. აბაშიძე ი., „გრიშაშვილი ნამდვილი, თავისებური...“, სიტყვები, გზები, სახეები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1971
3. აბაშიძე ი., „ცხოვრება და ხელოვნება“, „სახალხო გაზეთი“, №901, თბ., 1913.
4. ალაფიძე მ., ლიტერატურული წერილები, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, ქუთაისი 1981
5. არველაძე ბ., კუსრაშვილი რ., იოსებ გრიშაშვილის პოეტური სამყარო, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1976
6. არველაძე ბ., ძმობის ჩუქურთმა, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1987
7. გრიშაშვილი ი., ოთხტომეული, ტომი I, პოეზია, გამომც. „პალიტრა“, თბ., 2012

8. გრიშაშვილი ი., ოთხთომეული, ტომი II, პოეზია, გამომც. „პალიტრა“, თბ., 2012
9. გრიშაშვილი ი., ოთხთომეული, ტომი III, პროზა, „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“, გამომც. „პალიტრა“, თბ., 2012
10. გოლიაძე ო, ნიჟარაძე ე., იოსებ გრიშაშვილი, ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები, თბ., 2004
11. ღურმიშიძე ს., ზოგი რამ წარსულიდან, გამომც. „მეცნიერება“, თ., 1985
12. კეკელიძე კ., „ქართული მწერლობა“, №4, თბ., 1928
13. ლეონიძე გ., „ლიტერატურული გაზეთი“, №1, 1955
14. მიშველაძე რ., იოსებ გრიშაშვილი, უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1998
15. ჯიბლაძე გ; იოსებ გრიშაშვილი, თხზულებათა კრებული ხუთ ტომად, ტ I, ლექსები, გამომც. „საბჭოთა საქართველო, თბ., 1961.
16. ხომლედი, ჟურნ. „ცხოვრება“, №2, 1916